



სპორტიული

მეგობრული
პროექტის
ოთხთა ფინალის,
პრინციპალურ
ეპოქებს და
ნაბეჭდებს და
შედეგებს

გერნდ უსტერი:

ესა იგი, თბილისში
მეორედ ვარ?



გერნო უსტერი სპორტული
თემატის მსოფლიოს
პროექტსთან პირის დიფანს
ეპოქებს ნიშნის

3 კლუბი ინტერვიუ
exclusive
თითრი ანგლოზი

ინტერვიუ ბერნდ შუსტერთან

7 ირაკლი გამყრელიძე
რონალდო –
კარიერის ნაკუთარი

ბრაზილიელი ფეხბურთის
რვა თვით დააკლდება

8 პაპუნა კვიციანი
საქართველოს
პარპარასთან

უფასო თასი და „ლიდის“
ტრაგედია

10 ზიზა კოვასიძე
ერთადერთი კინო

ჩემპიონთა ლიგის
მეოთხედფინალი

12 ლეონიდე ჯანაშია
საფეხბურთო ტექნიკის ისტორია
წერილი მეორე

საფეხბურთო ტექნიკის ისტორია
წერილი მეორე

16 ბადრი კეთილაძე
საქართველოს
წითელი გოდოლი

„სარბიელის“ ფოტორეპორტიორი
„რაზდანზე“

17 სხვადასხვა

20 მარკო რატიშვილი
მწვენი ნახვის
სეზონი

რეპორტაჟი საკალათბურთო
ევროლიგის „ოთხთა ფინალიდან“

23 ბილ ახვლედიანი
სალირისი

ლენოქს ლუსისმა ამერიკა
გამხეცა

24 ზიზა კოვასიძე
წითელი გოდოლი

შუმხერს მეოთხე, ბრიტანული
ეტაპიც რომ მოეგო...

26 ირაკლი გვინაშვილი
ჯირო, გური
და ვუაღა

ველორბოლის სამი დიდი წრე

14-15 გვინაშვილი

რაულ გონსალეს ბლანკო, მადრიდის
„რეალი“. ესპანეთი

გარეკანები

- I რონალდო. 2000 წლის 13 აპრილი, რომი
- II ფრაიბურგელი ლევან კობიაშვილი
- III გიორგი ასანიძე მსოფლიო რეკორდს
ამყარებს. 2000 წლის 29 აპრილი, სოფია
- IV „ლიდის იუნაიტედი“ 2000 წლის
6 აპრილი, სტამბოლი



ლევან კობიაშვილი ბუნდესლიგის მორიგ ტურში გოლი გაიტანა — კანტიკუნტ სასიხარულო ამბავს ჩაჭიდებული და დახარბებული ქართველი გულშემატკივარი უკვე ამყარდა იყურება გერმანიისკენ. მას იქ, „ფრაიბურგში“ თავისი ბიჭი ეგულება, რომელმაც მარტის ბოლოდან მოყოლებული მაისამდე, ხუთ თამაშში ოთხი გოლი შეაგდო. ფოტოზე, რომელიც გერმანელმა ფოტორეპორტიორმა მიხაელ ჰობერგერმა შურნალ „სარბიელს“ გამოუგზავნა, ლევანი „ბაიერნის“ კარში გატანილი ჯარიმის შემდეგ არის აღბეჭდილი.

რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი

რედაქტორის მოადგილე
სოსო კოტორეშიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ბურამ ხალაშვილი

ოპერატორი მარინა ტაბიძე

მრჩეველთა საბჭო:

ვახტანგ ზზიკაძე, სოლომონ

გულისაშვილი, ავთანდილ

გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი,

ზურაბ მექველია,
ზურაბ ფოცხვერია

რეკლამა შურნალ «სარბიელში» — 93 16 08

თეორი ანგელოზი ბერნდ შუსტერი: მადალი, ქარა, კლასიკური ბარმანელი, ბრძელი თმით და უღვაშით



დიდი ფეხბურთელი იყო, სწავათაგან გამორჩეული, ხასიათითაც თავისებური. ეროვნულ გუნდში ადგილის დამკვიდრება არ ვასწირვებია, 20 წლისა ევროპის ჩემპიონი ვახდა და საფეხბურთო სამყაროც აალაპარაკა. თანაგუნდელთა უმეტესობას ათვალწუნებული ჰყავდა, არა თამაშის გამო, სხვა მიზეზით... მის ცოლზე ამბობდნენ პრეტენზიულია... მის გარშემო ათასი ჭორი დადიოდა. უტენი იყო, თანაგუნდელებთან სულ კონფლიქტი ჰქონდა.

კარიერა 1978 წელს დაიწყო სახელოვან „კიოლნი“ში“. თითქმის ოცი წელი ითამაშა, ნაკრების მაისურა კი სულ 21-ჯერ მიაწვდა, ბოლოს 1984 წელს. თავად ვანსაჯეთ, დიეგო მარადონას, ვარი ლინკეერის, ალან სიმონსენის, უგო სანჩესის, ემილიო ბუტრაგენიოს და სხვა ბევრი ვარსკვლავის მხარდამხარ თამაშობდა. ცხადია, გერმანელების ჩაუთვლელად.

სამწუხაროდ, ამ ფეხბურთელის ზენიტი ჩვენში ვაგანია კომუნისტურ მმართველობას დაეკითხვა. სად იყო მამის ამდენი სატელევიზიო არხი. ცენტრალური ტელევიზია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებს თუ გვიჩვენებდა, საკლუბო ტურნირების მატჩებს კი საბჭოური გუნდების მონაწილეობით. იშვიათად, უცხოელთა თამაში გვჩვენებდა. სწორედ ეს „იშვიათად“ გვაძლევდა საშუალებას, ამ ფეხბურთელის ოსტატობაში დავრწმუნებულიყავით. 1980 წელს, როცა ევროპის ჩემპიონი ვახდა და ამ ქერა ჭაბუკმა გაიბრწყინა, ჩვენ ტელევიზორებთან ვისხედით და „ფრემიაში“ ნაჩვენები ვოლეტებით გვაკმაყოფილებდნენ. 1982, 84, მს წლების ჩემპიონატებზე კი, ისევ და ისევ თავისივე ხასიათის გამო, არ უთამაშია.

ეს კაცი ბერნდ შუსტერია.

მადალი რომ მახსოვს, შედარებით მოსუქებულია, თმებიც ოდნავ დაუშოვლებია, თუმცა იერი არ შესცვლია, კვლავ კლასიკური, გერმანელი — აი, ასეთი იყო ბერნდ შუსტერი, როცა ამას წინათ თბილისში, სასტუმრო „შერატონ მეტენი პალასში“ შეეხვდი. ბირადი, ისიც უღვაშა, ხოტორა და კეინიანი მცველი არ შორდებოდა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე თან დაჰყვებოდა.

უქმური მეგობარ, ქედმაღალი... სხვანაირი ყოფილა — გულდია, თავაზიანი...

კომპანიონი

— ინტერვიუ?
— დიახ, ჟურნალ „სარბიელისთვის“.

შუსტერი შეეცნა, გაიღიმა, ცოტა და-ვიქრდა. პაუზა...
— სიამოვნებით. აქ დავსხდეთ?
— ...
— ერთი წუთით, უკაცრავად.

გერმანელი შეტრიალდა. მცველი მიუ-ხლოვდა, თავი დაუკრა და გაშეშდა. და-ხლოებით ნახევარი საათი იქვე იდგა, ვი-დრე შუსტერმა არ ანიშნა, წავედიოთ.

— დავიწყოთ?
— დავეინყოთ... ფეხბურთს დაახლო-ებით ოცი წელი თამაშობდით — ჯერ „კიოლნი“ იყო...
— არა, თავიდან ქალაქ აუგსბურგის გუნდი.
— ეგ, მგონი, ბავშვობაში.
— ჰო, მაგრამ თამაში იქ დავიწვეე.
— კეთილი. ჯერ აუგსბურგი, მერე „კიოლნი“, „ბარსელონა“, „რეალი“, „ატ-ლეტიკო“, „ბაიერი“, გფრ-ის ნაკრები. გული რაზე გწყდებათ? რა გსურდათ და ვერ შეძელით?

— მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს ენა-ტრობდი. სამწუხაროდ, არ გამომოვიდა, თუმც იმედი კი მაქვს, მსოფლიოს ჩემპი-ონატის მონაწილე ადრე თუ გვიან მაინც ვიქნები. ახლა მე მწვრთნელი ვარ, ჯერ-ჯერობით უმუშევარი, მაგრამ უახლოეს მომავალში რომელიმე გუნდს აუცილებლად გავწვრთნი, მერე ალბათ ღმერთიც გადმო-მხელავს და გერმანიის ნაკრებს ჩამაბარე-ბენ. ყოველ შემთხვევაში, ამისი დიდი სუ-რვილი მაქვს. სხვა, ვფიქრობ, არაფერი დამკლებია, ღამაზე ფეხბურთს ვთამაშო-ბდი ძალიან ძლიერ კლუბებში. ჩემი თანა

გუნდლები მსოფლიო დონის ფეხბურთელები იყვნენ. ხალხს სიაძინებდა ჩვენი თამაშის ხილვა.

— **ყველაზე მეტად რა გაგინარდათ?**

— ევროპის ჩემპიონობა, თუმცა ღრუბლებში არ მიფერნია.

— **მაშინ თქვენ მხოლოდ 20 წლის იყავით. არ გაგჭირვებიათ?**

— ოცისა კი ვიყავი, მაგრამ გამოცდილება მქონდა. ევროპის პირველობამდე ორი წელი „კიოლნი“ ვთამაშობდი, გერმანიის ჩემპიონები ვავხდით და თასიც მოვიპოვეთ. წარმოიდგინეთ ბუნდესლიგის ჩემპიონი როგორი გუნდი იქნებოდა. ნაკრებში პირველად 1979 წელს მიმიწვიეს. რამდენიმე მატჩი ჩავატარე და მერე დაიწყო ევროპის პირველობა. პარტნიორებთან უკვე შეთამაშებული ვიყავი.

ლმა არ მათამაშა, თუმცა მისი კარგად მესმოდა, ახალგაზრდა ვიყავი და პირველ მატჩში გამოცდილებს ენღო. ჩვენებმა ცუდად ითამაშეს და 1:0 გაჭირვებით მოვიგეთ. გოლი რუმენიგემ გაიტანა მეორე ტაიმში. მეორე მატჩი პოლანდიასთან ვგეონდა. იუპ ღერვალმა წინა დღით მითხრა, ძირითადად იქნებოდა. შანსი მომცა და უნდა გამომეყენებინა. ძალიან მოვიინდომე, გუნდმაც ჩინებულად ითამაშა. ბოლო წუთებამდე 3:0-ს ვივებდით, მერე ცოტა მოვღუნდით და ორი გოლი გავუშვით. მაშინ ისე მოხდა, რომ სამივე გოლი კლაუს ალოფსმა გაიტანა, სამივე ჩემი პასით. იმის მერე ნაკრების საქმე კარგად წავიდა. მე კი ძირითადად დავიმკვიდრე ადვილი, თუმცა მომდევნო მატჩამდე ვარჯიშზე ფეხი ვიტკინე და ბერძნებთან იძულებით დავი-

რება შეიცვალა, ყველაფერი აირია. „კიოლნი“ დასუსტდა. მე კი ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩის შემდეგ, რომშივე „ბარსელონას“ წარმომადგენლები შემხვედნენ და მათთან გადასვლა შემომთავაზეს. პირობებიც ჩინებულად მიიხრეს. მეც ავდექი და გავცვალე „კიოლნი“.

წავედი ბარსელონაში. არც ენა ვიცოდი, არც იქაურების მენტალიტეტი, თუმცა არ გამჭირვებია. ჩემი ენა ვიცოდი, ფეხბურთის ენა, რომელსაც ბევრი რამ შეუძლია, ამ ენაზე ყველა ყველაფერს ხვდება. ჩინებულად შეგწვევდა თანაგუნდლებს, კომპანების პატივისცემა, სიყვარული დავიმსახურე. ვთამაშობდი და ხალხს სიაძინებდა. პარტნიორებს არ იკითხავთ? მარადონა, კრანკლი, სიმონსენი, ლინეკერი, ყველას ვერ ჩამოვთვლი. მათთან მოედნის მიღმაც სასაიამოვნო ურთიერთობა მქონდა.

— **ახლაც?**

— რა თქმა უნდა.

— **მარადონას ხედებით?**

— რამდენიმე დღის წინ ტელეფონით ვესაუბრე, კუბაშია. მარადონა ჩემი მეგობარია, ახლობელი, კარგად ვიცი ვინც და რაც არის. როგორი ფეხბურთელიც იყო, ვიქრობ, ყველასთვის ნათელია, ყველა დროის საუკეთესო სწორედ ის მგონია. მას დიდ პატივს ვცემ, იმიტომ, რომ ძალიან მაგარი კაცია. კი, მართალია, თავისებურია, მაგრამ არც ისეთი ჭირვეულია, როგორც ხატავენ.

— **თქვენი საუკეთესო პარტნიორი ის იყო?**

— ერთ-ერთი. სადაც კი მითამაშია, ყველგან მყავდა ისეთი თანაგუნდელი, ვის გვერდითაც მოედანზე ყოფნა მსაიამოვნებდა. „ბარსელონაში“ მარადონა ხომ იყო და იყო, მის გარდა სიმონსენთან და ლინეკერთან მიაღვივლებოდა თამაში, „რეალში“ ბუტრაგენიოსი და უგო სანჩესის მესმოდა ჩინებულად, „ატლანტიკოში“ ფუტრეს ვუკვები სხვებზე მეტად, ეროვნულ ნაკრებში რუმენიგეს, ფიშერს, ალოფსსა და ჰრუბეუს. მე პასებს ვაკეთებდი, მათ გოლები გაჰქონდათ. კარგია, როცა გვერდით ასეთი ფეხბურთელები ვიდგანან. ისე, მგონი, მათთვისაც მე ვიყავი სხვებზე უკეთესი პარტნიორი.

შუსტერმა გაიღიმა, უღვაში ხელით გაისწორა, გავიხუმრე, რა თქმა უნდაო, ჩაილაპარაკა, მერე პირად მცველს ვახვდა, არანაირი პრობლემაო, ანიშნა ბოდივარდმა. — **გავაგრძელოთ.**

— **„ბარსელონა“ რატომღა დატოვეთ? თანაც „რეალში“, მის მოქიშპე გუნდში გადახვედით. რა მოხდა ასეთი?**

— დიდი არაფერი. „ბარსელონაში“ თავს კარგად ვგრძნობდი, ბედნიერების წუთებიც მქონდა, მაგრამ პრობლემებიც საკმაოდ. ყველაზე ცუდად 1986 წელი მაგონდება. მაშინ ჩემპიონთა თასის ფინალში „პორტუსთან“ დავმარცხვდი და „ბარსელონას“ ხელმძღვანელებმა სხვებთან ერთად წაგებაში მეც დამადანაშაულებს. ამან ისე გამანაწყვანა, შემდეგი სეზონი „ბარსელონაში“ საერთოდ აღარ მითამაშია. მერე გუნდს

FOOT MAGAZINE



1985 წლის "ბარსელონა" მარცხნიდან ღვანან: ურუბი, ხერარდო, მუსტაფა, ალუანაო, ხალიო ალბარტო, მიგელი სხალან: მარაოსი, როსო, არჩიბალდი, ალოსი, ვიხტორი

— **1979 წელი კარგად გახსოვთ?**
— ისე რა.

— **აქ, თბილისში, საბჭოთა კავშირის ნაკრები რომ დაამარცხეთ, არ გახსოვთ?**

— თბილისში? საბჭოთა ნაკრებს საქართველოში ვეთამაშეთ?

— **დიახ.**

შუსტერმა მხრები აიჩქა, თავი ასწია, ხელები შეათამაშა, იდაყვი მაგიდაზე ჩამოდა, თითი საფეხქელთან, შემომხედა.

— **ვერ იხსენებთ.**

— სამწუხაროდ. ესე იგი, თბილისში მეორედ ვარ? საბჭოთა ნაკრებს 1979 წელს მართლაც ვეთამაშეთ, მაგრამ... ძალიან კარგი სასტუმროა. „შერატონი“, არა?

— **„შერატონია“.**

— მოხერხებული და მყუდროა.

— **1980 წლის ევროპის ჩემპიონატი არ დაგვიწყებიათ?**

— რა დამავიწყებს. პირველ შეხვედრაში ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ მწვრთნე-

სვენე. სამაგიეროდ, ფინალში, ბელგიის წინააღმდეგ 90 წუთი ვითამაშე...

— **პირველი გოლიც თქვენ გააკეთეთ.**

— ჰო, ჰრუბეშმა გაიტანა. იმ წელს მართლაც ბრწყინვალე გუნდი გვყავდა. შუმასერი, ფიორსტერები, კალცი, ჰრუბეში, რუმენიგე, კულმანი, შტილიკე, ალოფსი... მწვრთნელი იუპ ღერვალი.

— **შუსტერი რატომ არ ახსენეთ?**

— შუსტერი? საკუთარ თავზე ხომ არ ვიტყვი... თქვენ თქვით.

— **ჩვენ ათასჯერ გვაქვს ნათქვამი**

— **ძალიან ძლიერი გამოთამაშებული იყავით.**

— სასაიამოვნოა ამის მოსმენა.

— **„ბარსელონაში“ გატარებული რვა წელიც ამის დასტურია. ესპანეთში ევროპის ჩემპიონატის შემდეგ წახვედით. „კიოლნი“ რატომ მიატოვეთ?**

— 78-ში გერმანიის ჩემპიონები რომ ვავხდით, მერე გუნდში რატომღაც ვითა-

კი დაუბრუნდი, მაგრამ ცოტა ხნით. ამ დროს უამრავი წინადადება მივიღე სხვადასხვა კლუბებისგან. განსაკუთრებით იტალიელები აქტიურობდნენ. მართალია „ბარსელონაც“ მთავაზობდა კონტრაქტის გაგრძელებას, მაგრამ მაინც, მადრიდში, „რეალში“ გადავბარე. ამ არჩევანზე ოჯახსაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა. შეილები შეგუებულნი იყვნენ ესპანეთს, იქაურ ცხოვრების წესს.

— კატალონიელი ქომაგებისგან ამას როგორი რეაქცია მოჰყვა?

— ჩვეულებრივი, ჩემთვის არაფერი უბრძობინებიათ.

— ბარსელონასთან და მადრიდთან ახლაც გაქვთ კავშირი?

— კი, ესპანეთში ხშირად ჩავდივარ. იქ ბევრი მეგობარი ცხოვრობს. ბარსელონაში სახლიც მაქვს.

— „თეთრი ანგელოზი“ — ჟურნალისტები ასე მოგიხსენიებენ. მხოლოდ გარეგნობის გამო?

— ალბათ. მე ხომ ქერა ვარ, თანაც გრძელი თმები მქონდა და ეს უფრო თვალშისაცემი იყო. „ანგელოზი“ კი... რა ვიცი, თავად განსაჯეთ, ვიყავი თუ არა „ანგელოზი“.

— მარადონაზე თქვით, თავისებურიაო. თქვენს მძიმე ხასიათზეც ბევრს ლაპარაკობდნენ. ასეა?

— რა გითხრათ? შეიძლება ასეც არის.

— გერმანიის ნაკრებში სულ 21ჯერ ითამაშეთ. რისი ბრალია?

— ხასიათის. კაცს რამდენჯერმე რომ მიგიწვევენ, გავარჯიშებენ, რამდენიმე დღე შეკრებაზე ჰყავხართ და მერე არ გათამაშებენ, გაგიფუჭდება ხასიათი, აბა რა იქნება. ბოლოს თავად ვიუარე ეროვნული გუნდი. თამაშის სურვილი დამიკარგეს. აბა, ჩემს ტყუილად გამოძახებას რა აზრი ჰქონდა? 1983 წელს ნაკრებს კი დაუბრუნდი, მაგრამ მერე უკვე ტრავმებმა შემაწუხა, იმ წელს სულ ოთხჯერ ვითამაშე. ამის გამო საფრანგეთის 1984 წლის ევროპის ჩემპიონატიც გამოვტოვე.

— იმასაც აზრობდნენ, ნაკრებში, თანაგუნდელთა უმეტესობასთან ძალიან ცუდი ურთიერთობა ჰქონდაო. განსაკუთრებით პოლ ბრაიტნერთანო.

— ყველაფერი გაზვიადებულია. რაღაც პრობლემები მართლაც იყო, მაგრამ ისეთი არაფერი, როგორც გაბერეს. იცით რას გეტყვით, მე რომ გერმანია 20 წლისამ დავტოვე და „ბარსელონაში“ წავედი, თქვენს გერმანულ კოლეგებს ეს არ ესთამოვნათ და მილიონი სისულელე მოიგონეს. პრესა ჩემდამი უარყოფითად იყო განწყობილი და საზოგადოებრივი აზრიც ასეთივე შექმნეს. ესპანეთში ჩემი კარგი თამაში არ მოსწონდათ. ბრაიტნერთან კი ერთხელ პატარა კონფლიქტი მქონდა, ეს გაიგეს და გრძელი კუდი გამოაბეს. აქაოლა ერთმანეთს თავპირი დაუშტვრიესო. ხალხსაც სჯეროდა. არადა... ახლა ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს, იმის მერე ბევრი რამ შეიცვალა.

— ჟურნალისტებთან საქმეს აღარ იჭერთ?



— იშვიათად. ახლა ყველამ გაიგო, რომ არც ისეთი ცუდი ვარ, როგორც 10-15 წლის წინ წარმოედგინათ.

— როგორც ფეხბურთელს, რა ნაკლი გქონდათ?

— არაფერი...
ისევ გაიღიმა, ისევ პირად მცველს გახედა, ისევ ვიხუმრეო, ვერმანელმა.

— ნაკლი? ალბათ ის, რომ დაცვაში ნაკლებსასარგებლო ვიყავი, თუმცა უკან დახევა ჩემი საქმე არც იყო. ამას ახლანდელი ფეხბურთის შემხვევარე ვამბობ, როცა თავდამსხმელიც კი მცველებს ეხმარება. ვფიქრობ, ყველაფერზე უკეთ პასი მეხერხებოდა, კიდევ, მოედანს კარგად ვხედავდი. მე მუდამ გამარჯვებისკენ ვიყავი შემართული. ნაკრების მისიურით თამაში არ წამივია.

— **ორჯერ.**
— რა ორჯერ?

— **ორჯერ ნააგეთ.**
— მართლა? ეტყობა, კარგად აღარ მახსოვს. ისიც გამიკვირდა, 21-ჯერ ითამაშე ნაკრებშიო, რომ მითხარით. მახსოვდა, რომ 22-ჯერ ვიყავი ეროვნული გუნდის წევრი. ალბათ ამერიკა.

— ეგ არაფერი. დღევანდელ ფეხბურთში ვინ მიგაჩნიათ საუკეთესო გამთამაშებლად?

— დღეს ნაღდი გამთამაშებლები, ისეთი როგორიც მე ვიყავი ან პლატინი იყო, აღარ არიან. გერმანიის მაშინდელი ნაკრების ძლიერებაც ეს გახლდათ — გუნდს გამთამაშებელი ჰყავდა. თითქოს ძალისმიერ ფეხბურთს ვითამაშობდით, მაგრამ არც ტექნიკური, ლამაზი ფეხბურთი დაგვეწუნებოდა.

— გერმანული ფეხბურთის კრიზისის მიზეზი რა არის? რას ამბობენ გერმანიაში?

— მართლაც ცუდი დრო დაგვიდგა. თაობა აღარ არის ისეთი, ადრე რომ იყო. გახსოვთ ჩვენი ფეხბურთელები? რალა შორს წავიდეთ, კლინსმანი გაიხსენეთ, ფიოლერი, ბრემე, ბუხვალდი, მიოლერის საუკეთესო წლები... მათი შემცვლელი აღარ არიან. ამდენი ხანი პრობლემა არ გვქონია და ახლა მოგვაცნა ყველაფერი ერთად. სულ ბოსმანის კანონის ბრალია. ქვეყნის ჩემპიონატში იმდენი ლეგიონერია, რომ გერმანელი აღარ ჩანს. და განა ეს პრობლემა მარტო გერმანიაშია? თითქმის ყველა ძლიერ საფეხბურთო ქვეყანაში ამას ჩივიან. ასე თუ გაგრძელდა, ფეხბურთი უფრო გაუარესდება. ჩემს დროს სად იყო ამდენი ლეგიონერი?

— გერმანიას საუკეთესო ნაკრები რომელ წელს ჰყავდა?

— მიჭირს გამოიჩინო, ყველა გუნდი რაღაცით გამოირჩეოდა. შიონის, დერვალის, ბეკენბაუერის ნაკრებები ძალიან მაგარ ფეხბურთს თამაშობდნენ. გერმანიის ნაკრები ყოველთვის ძლიერი იყო.

— **ახლაც?**
— ახლანდელი უწინდლებზე სუსტია. ამის მიზეზი უკვე ვითხარით.

— და ერთსაც გკითხავთ. ყველა დროის საუკეთესო ნაკრები რომელია?



2000 წლის 6 აპრილი. თბილისი. ბარნდ შუსტარი და ოთარ ჯორჯალიძე კართვალ და გერმანულ ვებარანთა მუხპვლრაში

— პელეს დროინდელი ბრაზილია და... ალბათ, მაინც 1974 წლის გერმანია, მაშინ მწვერთნელი ჰელმუტ შიონი იყო. ამ გუნდებს ნაკლი არ ჰქონიათ.

- **გმადლობთ.**
- დავამთავრეთ?
- **კიდევ გავაგრძელოთ?**
- თბილისში შესამედ რომ ჩამოვალ, მერე.

შუსტერს ბოდივარდი მიუახლოვდა, გვერდით ამოუდგა. აბა, წავედიო, დავემშვიდობა და სახსოვრად ეს ავტოგრაფი და კეთილი სურვილები დაგვიტოვა.

Handwritten signatures and text on lined paper:
M. Gite
für das
Journal
Sportwelt
G. G. G.

რონალდო

ირაკლი გაყრალიძე

კიდევ ერთი დრამა გათამაშდა: ორი წე ლინადა, რონალდო შესვენებით თამაშობს და ეს შესვენებები უფროდაუფრო იზრდება. ბოლო შესვენებისას რონალდოს ვაჟი შეეძინა და მას რონალდი დაერქვა. ბოლო შესვენებისას რონალდო გაეროს მშვიდობის დესპანიც შეიქნა და მოდების ჩვენებათა დარბაზების საქორნილო გენერალიც გახდა. ბოლო შესვენებისას რონალდო ბარე ათ სარეკლამო ფილმში გადაიღეს. ბოლო შესვენებისას რონალდოზე ავი ანექდოტები გაისმა, მაგას ფეხბურთის თამაში აღარაფრად სჭირდება.


ბოლო შესვენება ოთხთვიანი იყო, მორიგი შესვენება რვათვიანი იქნება. რონალდო შეცვლაზე შევიდა იტალიის თასის პირველ ფინალურ მატჩში „ლაციოს“ წინააღმდეგ რომის ოლიმპიურ სტადიონზე. მოედანზე შესვლიდან ექვსი წუთის თავზე რონალდომ თავისი ცნობილი ფართობი-ჯიანი ფიტის გაკეთება გადაწყვიტა — ცრუ ნაბიჯი მარცხნივ, ცრუ ნაბიჯი მარჯვნივ და ვერ ხვდები, ბურთს საით გაიგდებს. წყეული მარჯვენა მუხლი! უკვე ზედიზედ მეორედ, ის ვერ უძლებს რონალდოს ტანის სიმძიმეს. მარჯვენა მუხლის მყესები.

და ისევ ძველი სურათი: განთქმული პარიზელი ქორუგები მსჯელობენ — სამი თვე, ექვსი თვე, ცხრა თვე... ოპერაცია მკ, როგორც წესია, ბრწყინვალედ ჩაიარა, მაგრამ რონალდო ახალ წელს თუ გამოვა მოედანზე.

ამით რა? ის, რომ გრძელდება ძველი ზღაპარი დიდი მოთამაშის ბედის შესახებ.

რონალდოს ყველაფერი აქვს, მაგრამ თამაში ენატრება.

ამ იძულებით შესვენებათა ფონზე კაცი სულ იხსენებს მონატრებულ მოთამაშეს. რახან ფეხბურთელი მინდორზე აღარ არის, გაგონდება მისი კარიერა. რონალდო ჯერ კიდევ ახალგაზრდა ფეხბურთელია, მაგრამ მისას მაინც ბევრს გაიხსენებ. ამაზე ფიქრისას მე ორი რამ მახსენდება — რონალდოს თამაში უეფას თასის ფინალში „ლაციოს“ წინააღმდეგ („ინტერმა“ 3:0 მოიგო) და მისი სეზონი „ბარსელონაში“. „ბარსელონაში“ იმიტომ, რომ იქ რონალდო თავისუფალი იყო და თამაშის ბედის უმეტესი პროცენტი ჰქონდა მინდობილი (იტალიაში ხომ ასე არ არის?). იმიტომ ბრწყინვალე საცქერი იყო. უეფას თასის ფინალში კი ის აღარ ჰგავდა თავზეხელაღებულ ჭაბუკ გენოსის, არამედ



სპრიერის ნაკუნები

უმალესი კლასის, ჩამოყალიბებული, გუნდის ტაქტიკას მორგებული მოთამაშე იყო. ორივე შემთხვევაში რონალდო ბრწყინვალე საცქერი გახლდათ. „ბარსაში“ ქარბორბალასავით ლიდერი, „ინტერში“ საუკეთესო თანამებრძოლი.

იმის შემდეგ რონალდოს კარიერა ნუთნუთ უნდა შეიკრიბოს და აპლიკაციასავით დალაგდეს ფურცელზე. იმის შემდეგ რონალდოს საფეხბურთო ცხოვრება ნაკუნებისაგან შედგება. არადა, რონალდო სწორედ ის მოთამაშე იყო, კარიერის ნაკუნებით შეკერვა რომ არ სჭირდებოდა. ჩვენ კი უკვე ვიხსენებთ, აბა, მაგარი რა გაუკეთებიაო. სხვა ვითარებაში კი, ყოველ შაბათს უნდა გვეცქერა მისი მაგარი რამეებისთვის. მეორე მხრივ კი რონალდო მარტო არ არის.

მარადონასა და ბრაზილიის პრეზიდენტის მიერ გამოგზავნილი თანადგომის წერილებს არ ვგულისხმობ, არამედ იმას, რომ რონალდოს მდგომარეობა სიმპტომატური ხდება. ბიჭობაში ამობრწყინებული ვარსკვლავები თინიჯერულ ასაკს რომ გადასცდებიან, ტრავმების ეპიდემია შეეყრებათ ხოლმე. თუნდაც მაიკლ ოუენი ავიღოთ. განა წლევიანდელ სეზონს მისთვის სრულყოფილი სა-

ბე აქვს? საფეხბურთო წელიწადი იწურება და ოუენი ახლავს თამაშობს რეგულარულად. ჰაიპირად მოშუშებული ფეხით მოედანზე გასვლა ოუენისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო, რასაც, როგორც წესი, ტრავმის განახლება მოსდევდა.

რა მიზეზია? იტყვიან, გაზრდილ დატვირთვებს მზარდი ორგანიზმი ვერ უძლებსო. ვარსკვლავს მეტს სთხოვენ მწვრთნელები, მეტად იმეტებენო.

სულაც არ არის უაზრო ნათქვამი. აქ ერთი რამ უნდა გავიხსენოთ, რაც ერთგვარ პასუხს გასცემს ჩვენი დროის დრამებს.

ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელი ნორმან ვაითსაიდი ნალდი ვარსკვლავი იყო. „მანჩესტერ იუნაიტედიში“ თამაშობდა და მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში დღემდე რჩება ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშედ. ახლა ვაითსაიდი ოცდათხუთმეტი წლისაა და ათი წელიწადია, ფეხბურთელი აღარ არის. მუხლის წყლულმა, ქრონიკულმა ტრავმამ მისი კარიერიდან რამდენიმე ბრწყინვალე ნაკუნი დატოვა, ბოლოს კი საერთოდაც შეუძლებელი გახდა მისი მოედანზე ყოფნა. ალექს ფერგიუსონმა მეტად მწარე სიმაართე თქვა ამ მოთამაშის ბედის გამო: „ერთი მანახა მისი ძველი მწვრთნელი! ყველაფერი კარგად იქნებოდა, თხუთმეტი წლისა ფეხმტკიანი რომ არ გამოეგლით ხოლმე მოედანზე თამაშების მოსაგებად“.

ასეთია ნორჩი ვარსკვლავების ბედი. უფრო სწორად, ხვედრი განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ყმაწვილებისა, რომელთაც იმაზე მეტს თხოვენ, ვიდრე მათზე ბევრად უფროს, ჩვეულებრივ, ან უბრალოდ კარგ ფეხბურთელებს.

საავენტოთა ცნობები რონალდოს შესახებ კი ამას კიდევ ერთხელ შეგვახსენებს. და მაინც, იგი უნდა დაბრუნდეს, რადგან ძალიან ცუდი იქნება, თუ მისი თამაშიდან გადარჩება ნახევარსათაიანი ფილმი ზედ აღბეჭდილი ფანტასტიკური გოლებით. ეს — ნაკუნები იქნება, რონალდო კი ძნელი გასამეტებელია ნაკუნებისთვის.

დაგაგაული რონალდო კაროსის „ვიტი სალავარის“ საავტოროფონი მიიყვანს



აპრილის კოშმარი მარმარასთან



REUTERS სტამბოლიდან

პაპუნა კელია

პრისტოფერ ლოფტუსი, 37 წლის, ელექტრომემონტაჟი კვინ სპეიტი, 40 წლის, პაბის პატრონი, ორი შვილის მამა
2000 წლის 6 აპრილს, უფვას თასის პირველი ნახევარფინალური მატჩის წინა დამით, ინგლისური „ლიდს იუნაიტედის“ ეს ორი ქომაგი სტამბოლის სასტუმრო „მარმარას“ შორიხლოს მოკლეს. მიზეზი: ფეხბურთი! ისინი თურქეთის „გალათასარაის“ წინააღმდეგ თავიანთი გუნდის მხარდასაჭერად ჩავიდნენ.
ალი უმით დემირი
ოზქან ბაღჩი

ეს ორი სტამბოლელი ჭაბუკი, 2000 წლის 6 აპრილს, წინასწარი მონაცემების თანახმად, მკვლელი გახდა.
მიზეზი: ფეხბურთი!
ისინი „ლიდს იუნაიტედის“ წინააღმდეგ თავიანთ ქალაქში თავიანთ გუნდს უჭერდნენ მხარს.
სტამბოლის პოლიციამ სულ 14 ადამიანი დაიჭირა. საქმე სასამართლოშია. ამ ბოზენ თემიდა ზოგისთვის ორ, ზოგისთვის კი 30 წელ პატიმრობას ბრძანებსო.
30 წელიწადი ძალიან ბევრია. ეს იმას ნიშნავს, რომ 20 წლის ყმაწვილი ციხიდან 50 წლისა გამოვა, გამოტოვებს უზრუნველი ღებნის, დაოჯახების, შვილის

აღზრდის და მისი დაკაცების თუ დაქალგების საუცხოო ხანას.
მეორე მხრივ მოკლულნი...
მიზეზი: ფეხბურთი!
გამოძიებამ, რამდენადაც ჩვენამდე ხმამ ჩამოაღწია, ათასგვარი მიზეზი და დეტალი გამოჩნობია, რომელთაგან ყველაზე ნიშანდობლივი ერთი გახლდათ: ინგლისელი ფანები გამაღიზიანებლად იქცეოდნენ, უზრდელური შესტებით შეურაცხყოფდნენ გარშემომყოფთ, ხოლო ერთმა, თურმე ნუ იტყვით და, თურქეთის სახელმწიფო დროშა სასქესო ორგანოსთანაც კი მიიღო.
მომხდარის ანალიზს ჩვენ ვერ შევუდგებით, თუმცა როგორც ერთი, ასევე მეორე მხარის საქციელი ძალიან ლოგიკური გეგონია. ინგლისელ ფანებს, რომლებიც ინგლისელ ჯენტლმენთაგან ძალიან განსხვავდებიან, ერთობ თავხედური ქცევა დიახაც სწვევიათ, თურქ ფანებს კი — ქვეყნის საშხედრო ელიტისგან ისინიც ძალიან განსხვავდებიან — ძირითად იარაღად დანა აქვთ და მისი ტრიალი, როგორც ჩანს, აღმოსავლურ თავმოყვარეობას უკმაყოფილებთ.
ახლა ესეც ვივარაუდოთ: ინგლისელებს სადმე დანიაში რომ ელოთათ და ეხმაურათ, დიდი დიდი ჩხუბს და ერთი-ორი ვიტრინის ჩაღწევას გამოიჩინდნენ, სტამბოლში კი დანებით დაუხვდნენ.
თურქებს ვინმე ესპანელები ან იტალიელები რომ სწეოდნენ, ალბათ არ ილოთებდნენ და იქაურ დროშასაც თავს დაანებებდნენ.
მამ, 6 აპრილს სტამბოლში კულტურათა, უფრო სწორად კი უკულტურობათა დაპირისპირება მომხდარა.
მაგრამ იფენენ კი კრისტოფერ ლოფტუსი და კვინ სპეიტი ისინი, ვინც დთვრა და დროშა შეურაცხყო? არ ვიცით და რომც არ ყოფილიყვნენ არ უნდა გაგვიკვირდეს: სისულელეს ხშირად უდანაშაულონი ეწირებიან.
და მაინც, სისულელის მიზეზი: ფეხბურთი!
შემდეგ უფვამ „გალათასარაის“ ქომაგებს საპასუხო მატჩზე დასწრება აუკრძალა, ჩრდილო იორკშირის პოლიციამ კი C კატეგორიის მზადყოფნა გამოაცხადა, რაც სავანგებო ზომების მიღებას ნიშნავს — ემინოლათ, რომ „ელანდ როუდზე“ შედღწევას სტამბოლელები თუ არა, ინგლისში მცხოვრები 80 ათასი და მთელ ევროპაში გაფანტული მილიონობით თურქიდან სტადიონისთვის საკმაოდ შთამბეჭდავი რაოდენობა შეეცდებოდა. მაგრამ პროპაგანდამ და C კატეგორიამ გაამართლა, მატჩის დღეს ლიდსში მხოლოდ ინგლისელ ქომაგთა და ინგლისისავე პოლიციის მცირე შეტაკება მოხდა. დაიმტვრა რამდენიმე ტელეკამერა და „გალათასარაის“ ავტობუსის მინა.
და ამით დამთავრდა.
დამთავრდა კრისტოფერ ლოფტუსის და კვინ სპეიტის ცხოვრებაც.
მიზეზი...

ინგლისელი ფანების ფათარაგები (1974-1999)

1974: ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ფანებმა უეფას თასის ფინალში, როტერდამში, „ფეინოორდთან“ თამაშის დროს აყალბადა ატმოსფერო, რის გამოც „ტოტენჰემს“ შინ, უაით ჰარტ ლინზე, ორი საერთაშორისო თამაშის ჩატარება აუკრძალეს, თუმცა, მოგვიანებით, სანქცია გააუქმეს.

1975: პარიზში, ჩემპიონთა თასის ფინალში, „ლიდს იუნაიტედის“ ფანებმა მსობრივი უწყსრივობა მოაწყვეს, რის გამოც კლუბს ოთხი სეზონით აუკრძალეს საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობა. მოგვიანებით ისევ შეამსუბუქეს და ორ წლამდე შეამკირეს.

1977: „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფრანგულ „სენტ ეტიენთან“ თამაშის დროს ინგლისური გუნდის ქომაგებმა ექსცესი მოაწყვეს. ამისთვის კლუბი თავისი მფლობელთა თასის გათამაშებიდან მოკვეთეს, მაგრამ შემდეგ აღადგინეს, ოღონდ ერთი პირობით: „იუნაიტედს“ სტუმართათვის მანჩესტერიდან, სულ მცირე, 200 კილომეტრის მოშორებით უნდა ემასპინძლათ.

იმავე წლის ოქტომბერში ინგლისის ნაყრების ფანებმა ლუქსემბურგში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ, ჭურჭლი დაარბიეს, ჩაღვრეს მალაზიების ვიტრინები, დაამსხვრეს მანქანები და სხვა.

1980: იტალიაში, კერაოლ ტურინში, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის შეხვედრაში, ინგლისი ბელგიას ეთამაშებოდა, როდესაც ფანებმა მსობრივი უწყსრივობა მოაწყვეს, რისთვისაც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ 12500 დოლარით დაისაჯა.

იმავე წელიწადს, „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ გულშემატკივრებმა ესპანურ „კასტილიასთან“ სტუმრად შეხვედრის დროს წამოიწყეს ჩხუბი და რბევა. შედეგად ლონდონის გუნდს საბასუსო მატჩის თამაში ჩარაზულ კარს მიღმა, ცარიელი ტრიბუნების წინ მოუხდა.

1981: ინგლისის ნაყრებმა ბაზელში, შვეიცარიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა წააგო, ხოლო განაგრძებულ ფინალურ შეხვედრის ასოციაციას 94 ათასი დოლარი დაუჯდა.

1983: „ტოტენჰემის“ ქომაგები როტერდამში ახალი რბევის მიზეზი ხდებოდა. რბევის შედეგად 30 აღმაიანი საავადმყოფოში ხვდებოდა. იმავე წელიწადს ინგლისის ნაყრების გულშემატკივრები ლუქსემბურგში იმეორებენ 6 წლის წინანდელ ამბავს.

1984: ინგლისის ნაყრები პარიზში საფრანგეთთან 0:2-ს აგებს. გაბრაზებული ფანები უწყსრივობას აწყობენ, რაც ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას 1,09 მილიონი დოლარი უჯდებდა.

იმავე წელიწადს ბრიუსელში, უეფას თასის ფინალში „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ „ანდერლექტს“ ხვდება. მატჩის ირგვლივ ატმოსფერო ვნებათაღელვას კონფლიქტი მოსდევს, რის შედეგადაც ერთ ინგლისელ ფანს ბელგიელები ტყვიით კლავენ, ხოლო პოლიციამ 200 დამარცხეს აყავეს.

1985: ბრიუსელში, ჩემპიონთა თასის ფინალში, „ლივერპულისა“ და იტალიური „იუვენტუსის“ შეხვედრაში, ლივერპულელ ქომაგთა წამოწყებული მსობრივი ჩხუბის შედეგად „იუვენტუსის“ სტადიონის ტრიბუნა ინგრევა და 39 ადამიანის სიცოცხლეს იწირავს. ეს გახლდათ ყველაზე გახმაურებული ტრაგედია, რასაც უმკაცრესი სასჯელი, ვეღვა ინგლისური კლუბის საერთაშორისო შეჯიბრებიდან ხუთი წლით მოკვეთა მოჰყავდა. საკუთრივ „ლივერპული“ დამატებით სამი წლით დასაჯეს, თუმცა შემდეგ ეს სამი წლიანი პერიოდი შეუქმნიეს.

1986: ლა მანშა გადაღმა, კონტინენტისკენ მიმავალ ბორანზე შეკრებილმა „ევერტონის“, „მანჩესტერ იუნაიტედის“ და „ვესტ ჰემის“ 150-მა ფანმა ერთმანეთში ჩხუბი ატეხა. ჩხუბში ხუთი კაცი დაიჭრა, ხოლო ბორანი სეროზულად დაზიანდა და იძულებული გახდა, ინგლისის დაბრუნებულიყო.

1988: ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას დისკვალიფიცირებული კლუბები, საერთაშორისო შეჯიბრებებში დაბრუნებასთან დაკავშირებით ოფიციალური თხოვნა ჰქონდა დაწერილი, მაგრამ იძულებული შეიქნა გამოეტანა, რადგან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ფანებმა ხულიგნური აქციები მოაწყვეს.

1989: შეფილდში, „პოლსბროს“ სტადიონზე, ქომაგები მოედნის ტრიბუნებისგან დამკავი დობეს მოაწყვეს, რის შედეგადაც, ჭყლეტაში 95 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 200 დაშავდა. ეს გახლდათ ფეხბურთის ასოციაციის ნახევარფინალური შეხვედრა „ლივერპულსა“ და „ანდერლექტს“ შორის.

1990: მისში, „ლიდს იუნაიტედი“ ძველებური მეორე დივიზიონიდან პირველში (ახლებურად პრემიერლიგაში) გადავიდა. ეს ბორანში მოხდა, სადაც გახმაურებულმა ლიდსელმა ქომაგებმა რბევა მოაწყვეს.

იენისში, იტალიაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში მომხდარი არეულობის შემდეგ ქალაქ რომის აეროპორტიდან 200 ინგლისელი ფანი სამშობლოში დააბრუნეს.

1992: შეფილდში, ევროპის ჩემპიონატის დღეებში, სტოკპოლმსა და მალბორში ატმოსფერო აყალბადა შემდეგ უეფა სეროზულად დაფიქრდა, დირდა თუ არა ევრო 96-ის ინგლისში მოწყობა.

1993: პოლანდიაში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ, როტერდამსა და ამსტერდამში ჭურჭლის ლეწვის შემდეგ პოლიციამ ათასზე მეტი ინგლისელი გულშემატკივარი დაიჭრა, თუმცა მათგან ნამდვილი დამნაშავე 100-ზე ოდნავ მეტი აღმოჩნდა.

იმავე წელიწადს თურქეთის პოლიციამ სტამბოლის სასტუმროში მოწყობილ უწყსრივობათა გამო დააჯავა „მანჩესტერ იუნაიტედის“ 133 გულშემატკივარი. მათგან 6 დააპატიმრეს, „მანჩესტერ იუნაიტედი“ „გალათასართან“ თამაშობდა.

1995: დუბლინის „ლენსდაუნ როულზე“ ირლანდიისა და ინგლისის ნაყრებთა ამხანაგური შეხვედრა 27-ე წუთზე შეწყდა და ადარც გაგრძელებულა. მიზეზი ტრიბუნაზე ატეხილი ჩხუბი გახლდათ.

1996: ევრო 96-ის დღეებში, გერმანიის ნაყრებთან დამარცხების შემდეგ ინგლისელმა ქომაგებმა ლონდონში უწყსრივობანი მოაწყვეს, რის შედეგადაც 200-ზე მეტი ხულიგანი დააჯავეს.

1997: იტალიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ, რომის ცენტრში დააჯავეს 40-ზე მეტი ინგლისელი ფანი.

1998: საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში, მარსელში, ინგლისელი ხულიგნები შეებნენ ტურისტებს, ადგილობრივ მაცხოვრებლებს და პოლიციას. რამდენიმე დღის შემდეგ, სენტ ეტიენში ინგლისის ნაყრები არგენტინამ დაამარცხა, რის გამოც გამწვარებულმა ხულიგნებმა ამ ქალაქის ახალგაზრდებთან იჩხუბეს.

იმავე წლის ოქტომბერში ლუქსემბურგის სტადიონზე არ შეუშვეს 100-ზე მეტი მთვრალი და აგრესიული ფანი, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშის სანახავად იყვნენ ჩასული.

1999: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი პლეი-ოფის შეხვედრის, შოტლანდია — ინგლისის დამთავრების შემდეგ გლაზგო ცენტრში დაახლოებით 160 გულშემატკივარი დააჯავეს. მცირე ჯგუფებამ დაყოფილი ინგლისელები შოტლანდიელებს ეჩხუბებოდნენ.



UEFA CUP

„უეფას“ თასი ჩემპიონთა ლიგამ დარღვილი — ეს საყოველთაოდ გაგრცვლებული აზრია, რომელსაც სტამბოლში, ალბათ, არ ეთანხმებიან. ამ ქალაქში ჰყავთ „გალათასარი“, ჩინებული გუნდი, რომელმაც 2000 წლის 20 აპრილს თურქული ფეხბურთის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩანერა: ევრო-შეჯიბრების ფინალში გაეგდა.


სამისოდ სტამბოლელებმა ნახევარფინალში ინგლისური „ლიდს იუნაიტედი“ დაამარცხეს 2:0, 2:2. გუნდის ყოფილი ფეხბურთელის, ფაიოზ თერიმის მწვრთნელის თანამდებობაზე ოთხნობიანმა მუშაობამ დიდი შედეგი გამოიღო — ზედიზედ სამი სეზონის განმავლობაში ქვეყნის ჩემპიონობა უეფას თასის ფინალისტობაში გადაიზარდა.

მეორე ფინალისტი ლონდონის „არსენალი“. ფრანგი მწვრთნელის, არსენ ვენგერის გუნდმა ფრანგულ „ლანსზე“ იძია შური. მოგესხნებათ, გასულ სეზონში, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „ლანსი“ ლონდონელებს შინ ფრედ 1:1 ეთამაშა, ხოლო სტუმრად 1:0 მოუგო და აი, რევანში შედგა: 1:0, 2:1 — ორივე შეხვედრაში ინგლისურმა გუნდმა გაიმარჯვა.

და მაინც, ჩემპიონთა ლიგამ უეფას თასი რომ დარღვიდა, იქიდანაც ჩანს, რომ უეფას თასის ორივე ფინალისტი ლიციდანაა. სეზონი როგორც „გალათასასარიმ“, ასევე „არსენალმა“ სწორედ ჩემპიონთა ლიგაში დანიყო და მხოლოდ იქაურ პირველ ჯგუფურ ეტაპზე დამარცხების შემდეგ გადაერთო ახალ შეჯიბრებაში, რომელში გამარჯვებამდეც ერთი თამაშია დარჩენილი.

ფინალი 17 მაისს დანიაში, კოპენჰაგენში გაიმართება.

„არსენალის“ ფრანგები ტიარი პერი (№14) და პაბრიუ ვიიერა ფინალში გასკლას ზაიმოზანე



პრემიერ ლიგის პირველი რაუნდი



REUTERS

გამარჯვებულის ფერხთ: მანჩესტერულთა ჰაზიბანს როი ჰინს მადრიდულთა მუხარა იბრაჰიმოვიჩთან საპირისპიროდ დახვდა

ჩინილია ხალაო სარკიოსთან ნაგო გომოლა, "პორტუგალია" ჰი "ბარსელონა"

ჩინილია ლიგა

მეთხედვინალი

პირველი რაუნდი

- 4 აპრილი რეალ მადრიდი (მანჩესტერი, მანჩესტერი) 0:0 მანჩესტერი იუნაიტედი (მანჩესტერი)
- 4 აპრილი პორტუგალია (პორტუგალია) 1:1 ბარსელონა (ბარსელონა, ბარსელონა)
1:0 ფარდელი (47), 1:1 პაულო სერჟიო (80)
- 5 აპრილი რეალ მადრიდი (მანჩესტერი, მანჩესტერი) 3:1 ბარსელონა (მანჩესტერი)
1:0 მელა (30), 2:0, 3:0 ფელი (34, 38), 3:1 ფიგუ (64)
- 5 აპრილი ვალენსია (მანჩესტერი) 5:2 ლასკო (რომი, იტალია)
1:0 ანგულო (2), 2:0 სერარდი (3), 2:1 ს. ინაგი (27), 3:1, 4:1 სერარდი (39, 81), 4:2 ხალაო (86), 5:2 კლაუდიო ლოპესი (90)

მეორე რაუნდი

- 18 აპრილი ბარსელონა (მანჩესტერი) 5:1 რ. მ. (3:1) რეალ მადრიდი (მანჩესტერი, მანჩესტერი)
1:0 რივადლი (24), 2:0 ფიგუ (45), 2:1 ფელი (60), 3:1 დანი (83), 4:1 რივადლი (99), 5:1 კლუივერტი (105)
- 18 აპრილი ლასკო (რომი, იტალია) 1:0 ვალენსია (მანჩესტერი)
1:0 ვერონი (52)
- 19 აპრილი მანჩესტერი იუნაიტედი (მანჩესტერი) 2:3 რეალ მადრიდი (მანჩესტერი, მანჩესტერი)
0:1 კინი (20 ს.კ.), 0:2, 0:3 რაული (50, 53), 1:3 ბუქემი (62), 2:3 სქოულსი (89)
- 19 აპრილი ბარსელონა (მანჩესტერი, მანჩესტერი) 2:1 პორტუგალია (პორტუგალია)
1:0 პაულო სერჟიო (15), 1:1 ფარდელი (89), 2:1 ლინკე (90)

ლიგის კონკრეტები

ამ ქვეყანაზე არსებობს მხოლოდ ერთი კინო კინოლო, შენ ერთადერთი ხარა თუ სექსუალური ინტელისური იცით და ბოლო ოთხი წლის მანძილზე „ოლდ ტრეფორდიდან“ ერთი ტელეგურთაჟი მაინც გინახავთ, ალბათ გაიგებდით მანჩესტერელი ფანების ამ სიმღერას. ცხადია, „მანჩესტერ იუნაიტედის“ სარბიელი არც კანია, არც ვენეცია და მითუმეტეს, არც კინოს სახლი ზემელზე. იქ, უბრალოდ, სათაფრად გუნდის კაპიტანს აღმერთებენ.

ჰოდა, ჩვეულებრივად ანუ გამაგებებელი გამოქცა ეს ჩვენი კაპიტანი საკუთარი საჯაროობისთვის. მეკარის დრიალს, ჩემიო, ხოტორა თავზე მიბმული ყური არ უგლო და ხია. ზია, მაგრამ რა ხია! კარი ლამის გახია, თუმცა დარტყმის მომენტშივე მიხვდა, რაც ხდებოდა და უსეც ისე გააკეთა, როგორც „ერთადერთს“ შეშვანს. თავში ხელის წაშენა და ვაი-ვიში არ დაუწყია. ერთი ადრეფურთხა მიუდანხვარე გამოტილმა და მორჩა. კინოლო!

მე თუ მეთხავთ, ეს აპრილის გოლი იყო. ჩემპიონთა ლიგის მეთხედვინალის საპასუხე მატჩში „მანჩესტერ იუნაიტედი“ მადრიდის „რეალს“ ხვდებოდა. რა მოხდებოდა, ვთქვით, იმავე როი კინს საპირისპირო კარში რომ გაეტანა ამ შეხვედრის პირველი გოლი? ალბათ, მასპინძლები მოიგებდნენ. სინამდვილეში რა მოხდა? რა და, ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში უდიდესი მატჩი ვიხილეთ. არ მეთანხმებით? დამითმა, მაგრამ ამ წლის ლიგის საუკეთესო თამაში რომ იყო, ნაღდა.

ხუთი გოლი, რედონდოს ვალონური ფი-



REUTERS

REUTERS





REUTERS



**ბარსალონელი ლიუი ფიგუს ან დარცხმას ლონდონელაგამ
ალბარტ ფარერამ (მარჯვნივ) და დენის უიზამ გზა ვარ ბალალოგას**

ნტი, რაულის ელვისეური გამონდომები, ბექემის მორიგი „ცხრიანი“ (დღესდღეობაში და წინამდებარე დამბინგით), ივან კამპოს თავი (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც ნახევარი მოედანი რომ დაეპყრო), ტელეკომუნტატორთა ყვირილი (მოახერხებს „მანჩესტერი“ ბოლო ორ წუთში სამი გოლის გატანას?)... ეს ყველაფერი სქოულზის თერთმეტმეტრიანი დასრულდა. პენალტი პენალტია, მაგრამ იმ დღეს ისიც სხვანაირი, რაღაც ხმაურიანი იყო — ძელმა ერთგვარი გონვის ხმა გამოსცა: თასის მფლობელი გავარდაო.

გავარდა და გავარდა. მიჰყვა „ჩელსი“, რომლის ორივე დუელი „ბარსელონასთან“ დიდებული გახლდათ. საერთოდ, არ იქნება, „ოლდ ტრეფორდისა“ და „კემპ ნოუს“ აბო-

ნემენტის მფლობელთა მიმართ შური არ გავიწიდეს კაცს: სეზონში, სულ მცირე, ათიოდ სპექტაკლს ესწრებიან ბენდიერები. მიკლელ, გავარდა ორი ინგლისური გუნდი. მიჰყვა იტალიის ბოლო იმედი ევროთასებზე, რომის „ლაციო“, დარჩა სამი ესპანური გუნდი პლუს „ბაიერნი“. ფინალის ჩათვლით ხუთი თამაშია დარჩენილი, მაგრამ იქნება რომელიმე „მანჩესტერ“ — „რეალის“ დარი? აბა, რა ვიცი.

რაც ვიცი, ისაა, რომ ჩემპიონთა ლიგა გადასარევი შეჯიბრებაა. ფორმატი არ არის უნაკლო, კი ამბობენ, მაგრამ, ერთი რომ, სიტყვა ფორმატი ფეხბურთთან რა მოსატანია, მეორეც — ასეა თუ ისე, ამ ქვეყანაზე არსებობს მხოლოდ ერთი ჩემპიონთა ლიგა, ისევე, როგორც კინოლო!

**დამარცხებული ლონდონელი
ტორე ანდრა ფლორ გაბარჩაბალი
„ბარსალონას“ მიუსარიტ**

მადრიდელამ აიბორე ჯარანამ მანჩესტერელ ენდი ჯოულს მმოგლიერ „ოლდ ტრაფორდზე“ არ გაატანინა



ნარილი ბიორა როგორ იცვლება სურათი

პირაპიდა

ლავა ჯაფარიძე

სისტემა, რომელიც სავარაუდოდ 1883 წელს იშვა და 1938 წლამდე იარსება, შეუძლებელია კლასიკურად არ გამოეცხადებინათ. კლასიკური სისტემა — სწორედ ასე შემორჩა ისტორიას ის, რის შესახებაც ქვემოთ ვაპირებთ საუბარს, მაგრამ მას მეორე სახელიც ეწოდა — პირაპიდა.

პირაპიდის სახის ცვლა 1925 წელს დაიწყო, როდესაც ფეხბურთის წესთა მუდგებმა თამაშარე მდგომარეობის ის ვარიანტი მოიგონეს, დღემდე რომ მოქმედებს. მიუხედავად ამისა, ერთობ ფესვგადგმულმა და უამრავი ნაირსახეობით გამდიდრებულმა მეთოდმა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 1938 წლამდე იარსება.

კლასიკური სისტემის პირველადი ვარიანტი ასეთი გახლდათ: მეკარის წინ ორი მცველი მოწინააღმდეგის თავდამსხმელებს მუდგებობდა და ხელოვნური ოფსაიდის შექმნას ცდილობდა — შეგახსენებთ, რომ იმხანად თამაშარეთ ითვლებოდა ფეხბურთელი, რომლის წინ სამზე ნაკლები მეტოქე აღმოჩნდებოდა. მოედნის შუაში ანუ ნახევარდაცვაში სამი მოთამაშე მწკრივდებოდა. მათგან ორი, განაპირას მდგომი, მოწინააღმდეგის გარემარბებს და მათ მომპარავლებს აქცევდა ყურადღებას, შუაში კი ერთობ რთული ფუნქციის ფეგურა მოქმედებდა. ის თანამედროვე

გამთამაშებლის წინაპარი გახლდათ. მისი დიაპაზონი სხვებისაზე საგრძნობლად მეტი იყო. იგი განსაზღვრავდა შეტევის მიმართულებას, ტემპს და მოედნის გულიდან ღირიფორობდა მთელ ფართობზე გაბნეულ თანაგუნდელთა მოქმედებას. თანაგუნდელთაგან კი ხუთი თავდამსხმელი გახლდათ.

პირველად ვარიანტში ეს ხუთეული ერთ ხაზზე მოქმედებდა. მათი ფუნქციები ასე იყო დანაწილებული: შუა სამი გოლის გატანას ცდილობდა, კიდევში მდგომნი კი მათთვის ბურთის ჩასაწოდებლად იყვნენ მოწოდებულნი. მათ გარემარბებს უწოდებდნენ და ამ ამპლუისთვის საგანგებოდ სწრაფ ფეხბურთელებს არჩევდნენ.

თუ აღწერილ სქემას ზემოდან დავხედავთ, თვალწინ ვადმობრუნებული პირაპიდა დაგვიდგება. პირაპიდის მიმდევარი გუნდები ზონურ დაცვას თამაშობდნენ.

ბუნებრივია, კლასიკურმა სისტემამ თანდათან საზე იცვალა. უფრო სწორად წარმოიშვა მისი ნაირსახეობები, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გამოდგა ის, რომლის თანახმადაც ცენტრალური თავდამსხმელი უკანა დაწეული, ხოლო მისი ოთხი კოლეგა ერთ ხაზზე რჩება. იყენებდნენ ასეთ ვარიანტსაც: ცენტრალური ფორვარდი უკან იწევს, მასზე წინ ეგრეთწოდებული ინსაიდები რჩებიან, ხოლო მეტოქის კართან


ყველაზე ახლოს გარემარბები მოქმედებენ.

30-იან წლებში პირაპიდის სპეციფიური სახესხვაობა ავსტრიელებმა მოიგონეს. მისი თავისებურება გახლდათ ის, რომ თავდამსხმელებს ცენტრალურის გარდა მეორე ნახევარმცველიც ეხმარებოდა. სწორედ მაშინ იშვა დღემდე ცნობილი დევიზი: „საკუეთესო დაცვა თავდამსხმაა“. ფორვარდთა ხუთეული ორ მწკრივად მოქმედებდა — ინსაიდები უკან იყვნენ დახეული.

ავსტრიელები საგანგებო ყურადღებას ნახევარდაცვას აქცევდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ თამაშის მთავარი სიმძიმე სწორედ შუა მოედანზე მოდის და ამისთვის მცველებს ერთობ წინ, ცენტრისკენ განალაგებდნენ ხოლმე. ნახევარმცველები მეტოქის გარემარბებსა და ინსაიდებს მუდგებობდნენ. პრინციპი ზონური ჰქონდათ, თუმცა ასეთ მეთოდს ერთი აშკარა ნაკლიც შეენიშნებოდა: სწრაფი კონტრშეტევების დროს რიცხობრივი უპირატესობა მოწინააღმდეგეს რჩებოდა, რადგან მცველებს წინახაზელები დროულად ვეღარ ეხმარებოდნენ.

პირაპიდის იტალიური ნაირსახეობა უპირატესად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრით გახლდათ განპირობებული. აპენინული ნახევარმცველები მეტოქის გარემარბებს მუდგებობდნენ, ინსაიდები კი თავიანთ კოლეგებს აქცევდნენ ყურადღებას. ცენტრალურ ნახევარმცველს ცენტრფორვარდის ლანდლ ქცევა ევალებოდა — გამოჩნდა პერსონალური მუდგებობა — ხოლო უფრო ცენტრისკენ შეწყული ორი მცველი ზონური დაცვის ერთგული რჩებოდა. ასეთი მეთოდი მოწინააღმდეგის შემტევე ფეხბურთელებს ძალიან უზღუდავდა სივრცეს და გოლის გაშვების შანსს ერთობ ამცირებდა.

ბუნებრივია, რომ დაცვაზე მზრუნველი იტალიელებისთვის მეტოქის კარში ბურთის შეგდება კონტრშეტევით უფრო ლოგიკური გამოდიოდა. შესაბამისად საგანგებო მნიშვნელობა გარემარბების სისწრაფესა და, ცხადია,





1938 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი. იტალია – უნგრეთი 4:2. უნგრელი ბარონის გოლი "საქაღრა აქარას" კარში

ცენტრფორვარდს ენიჭებოდა.

სწორედ ასეთმა აზროვნებამ მოუტანა იტალიის ნაკრებს 30-იან წლებში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ტიტული.

იტალიური ნაირსახეობა ოფსაიდის რეფორმის შემდგომ პერიოდს განეკუთვნება. იმავე პერიოდში შეიქმნა ეგრეთწოდებული „შვეიცარიული კლიტე“, რომლის შემოქმედი კარლ რაპანი გახლდათ.

პირველად საზოგადოებრიობამ „შვეიცარიული კლიტე“ 1932 წელს ვენეციის „სერვეტის“ შესრულებით იხილა. შედეგად, მომდევნო ორი წლის განმავლობაში „სერვეტი“ ქვეყნის ჩემპიონი ხდებოდა. მოგვიანებით რაპანმა „კლიტე“ ციურიხის „გრასჰოპერში“ მუშაობისას განავითარა და სისტემაშიც ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ მალე მთელი შვეიცარია, ქვეყნის ნაკრების ჩათვლით, მას მოერგო.

ახლა „კლიტეს“ განმასხვავებელ ნიშნებზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

რაპანმა დაასკენა, რომ ყველაზე დიდი საფრთხე გუნდს მოწინააღმდეგის ცენტრფორვარდისგან ემუქრება, რისთვისაც მისი მეურვეობა ერთის ნაცვლად ორი მცველით გადაწყვიტა.

კერძოდ, პირამიდისეული ორი მცველიდან რაპანმა ერთი უკან დაწია და დაზღვევაზე თამაში დაავალა, ხოლო მეორეს ცენტრალური თავდამსხმელის პერსონალური მეურვეობა დააკისრა.

გეცნოთ? ავსტრიელთა ექსპერიმენტიდან ერთი ხნის შემდეგ პირველ, დამზღვევ მცველს იტალიელებმა ლიბერო შეარქვეს, მეორე, მეურვე მცველს კი ინგლისელებმა — სტოპერი.

მცველთა ასეთი განლაგება ბუნებრივად ითხოვდა შემდგომ ცვლილებებსაც და მანაც არ დააყოვნა: განაპირა ნახევარმცველები განაპირა მცველებად იქცნენ, რათა მეტოქის გარემარბები უმეთვალყურედ არ დარჩენილიყვნენ, ხოლო ცენტრალური ნახევარმცველის დასახმარებლად თავდასხმიდან ერთმა ინსაიდმა დაიხია უკან. შესაბამისად, ცენტრალურმა ნახევარმცველმა ღირიჟორის ფუნქცია არ დაკარგა, ხოლო თავდასხმაში ოთხი ფორვარდი დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ „კლიტე“ იმ ეპოქის ძალიან ბევრმა მიმოშვილველმა გააკრიტიკა, რაპანის როლისა და ადგილის მნიშვნელოვნებას ყველა

ერთხმად აღნიშნავდა და მანაც მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ნოვატორის სახელი დაიმკვიდრა. სპეციალისტები ყურადღებას იმაზე ამახვილებენ, რომ რაპანის ძიებანი მხოლოდ დაცვის გაძლიერებისკენ არ იყო მიმართული. ავსტრიელი სტრატეგოსი ხომ თავდასხმის ახლებურ მეთოდებსაც იგონებდა.

პირამიდის სიმწიფის ხანაში მეტად და მეტად იკვეთებოდა ინსაიდთა როლი და ფორვარდთაგან განსხვავებული ფუნქცია. ჯერ კიდევ კლასიკური სისტემის პირველად ვარიანტში ცენტრფორვარდის მეზობელ თავდამსხმელთა უკან დაწევამ შექმნა ამაღლა, რომელიც სასარგებლო გახლდათ, როგორც შუა ნახევარმცველის, ასევე თავდასხმის მოხერხებული მოქმედებისთვის. იმავდროულად, განაპირა ნახევარმცველთა მეტოქის გარემარბებისთვის აღევნებამ ეს ნახევარმცველებიც შედარებით განზე გასწია და ზემოდან მაცქერალი კაცისთვის მოედანზე, შეტევისა და დაცვაში ორი ლათინური ასო „დუბლვე“, W გამოიხატა.





ბადრი კითილაძე
ერევანი-თბილისი
ავტორის ფოტოები

საპრატი ერთი წუთით გადავდეთ

ფოტორეპორტიორის პროფესია თავისებურია. მოედანთან ყველაზე ახლოს ხარ, ყველაფერს ორ ნაბიჯში ხედავ, ყველაფერი გესმის, მაგრამ გონება რაკურსის შერჩევაზე ფიქრობს. კადრი, კომპოზიცია... საიდან გამოვა ფოტო ეფექტური? შეხვედრის მსვლელობა ჯერ აქეთ ჩასაფრებას გკარნახობს, მერე — იქით.

თამაშის ერთიანად აღქმა პრესის ლოკაში მოკალათებული მწერალი-ჟურნალისტისთვის უფრო იოლია. მისი უშუალო მოვალეობა ხომ სწორედ ესაა, მაგრამ...

ის, რაც „რაზდანზე“ სომხეთისა და საქართველოს ნაკრებთა ამხანაგური მატჩის დროს შევნიშნე, ალბათ იმ უპირატესობის შედეგია, მოედნის კიდედთან დგომა რომ იძლევა. კერძოდ, პირველი და უმთავრესი, რაც თვალში მეცა, ჩვენი ფეხბურთელების დისციპლინირებულობა გახლდათ. აი, რას ვკვლისხმობ: როგორც კი მატჩის დირიჟორი, რევაზ ძიძუაშვილი მოთამაშეებს

ეპიზოდი „რაზდანზე“ ქართველებს, გივი ლიდავას (№16), ზურაბ იონანიძეს, მიხეილ ყაველაშვილს (№11) და სოფხაძის, სარქის ოვსიანიანის (№4) და არტურ ჰოსტანიანის (№8) მონაწილეობით



ზურაბ იონანიძე (№14) და თენგიზ სიჭინავა (№4) სომხს ფეხბურთელთან ბრძოლისას

რაიმეს მიუთითებდა (ჩვენი გუნდის მეორე მწვრთნელი დავით ყიფიანი ტრიბუნაზე

იჯდა) ისინი დაუყოვნებლივ ვიმეორებ, დაუყოვნებლივ ასრულებდნენ. კიდევ, ერთხელაც არ მომისმენია ადრე პრავალოზორ ფურმოკრული: „ეს ვინ ყოფილა...“ „ჰამას პასი არ სცილდნია...“ და ასე შემდეგ. ფეხბურთელები ერთსულოვანი და ერთმანეთის მხარში ამომდგარნი ჩანდნენ.

რაკილა დადებითით დავიწყე, ერთსაც ვიტყვი: ჩემი აზრით, დაცვიდან შეტევაში ბურთის გადატანა საქართველოს ნაკრებს უწინდელთან შედარებით, გაცილებით გააზრებული ჰქონდა. იგრძნობოდა, რომ ბიჭებს ეს ესწავლათ.

სხვა მხრივ კი თავი საქართველოს ჩემპიონატის რომელიდაც, მორიგ თამაშზე მეგონა. დამაბულობა, ტემპი, დანამიკა მისგან არაფრით გამოირჩეოდა. აქა-იქ მომენტებიც იყო — ჩვენგან ზურაბ იონანიძეს და მიხეილ ყაველაშვილს შეეძლოთ გოლის შეგდება, მეტოქეს შანსი მეტი ჰქონდა —

მაგრამ საბოლოოდ, მატჩის სტენოგრაფია რომ შემდეგინა, ალბათ, ჟურნალის გვერდს მაინცდამაინც არც დაეტყობოდა.

გარდა ამისა, თვალში მომხვდა ქართველ ფეხბურთელთა უპირატესობა სიმაღლეში, შედეგისთვის, პრაგმატულად თამაშის სურვილი და ერთი კურიოზი: შეხვედრას სომხეთის რომელიდაც კომერციული არხი გადასცემდა. კაბელის სიმოკლის გამო მისი ტელეკამერა საქართველოს ნაკრების სათადარიგოს სკამის მიდამოებს ვერ სცდებოდა, ჩვენი მწვრთნელი, რევაზ ძიძუაშვილი კი მიუღიოდა მატჩის განმავლობაში ფაქტობრივად არ დამჯდარა და ეტყობა, ეფარებოდა. და აი, აქ მოხდა უცნაური რამ: ობერატორმა კამერა მიატოვა, ძიძუაშვილთან მივიდა და უთხრა, მე აქ სამუშაოდ ვარ მოსული, თქვენ კი ხელს მიშლით, დაჯექითო. ძიძუაშვილმა აუხსნა, რომ ისიც სამუშაოდ იყო ერევანს ჩასული და მისთვის გამოყოფილ ადგილზე იდგა...

ჰო, მართლა, გამოყოფილ ადგილებთან დაკავშირებით: „რაზდანზე“ ჩვენს ეროვნულთან შედარებით წესრიგია. ჟურნალისტმა თავისი შესასვლელი იცის, პოლიციელმა თავისი, გულშემატკივარმა თავისი. თბილისურ კოშმარს იქ ვერ ნახავთ, სტადიონზე მოხვედრა პრობლემა არაა და არც ბაზრობითაა ქვეყნის მთავარი სარბიელი შევიწროებული. ის სტადიონია და არა სავაჭრო ცენტრი. ტრიბუნებზე კი სკამები ჩვენებურადაა აყრილი და მინდორიც თბილისისას ჰგავს.

ერთი სიტყვით, სხვა რა ვითხრაო, გარდა იმისა, რომ საქართველოს ნაკრები სომხეთს ჩავიდა და მოძრაობდა ავტობუსით, რომელსაც ქუთაისის „ტროპედი“ ეწერა. როგორც ქუთაისელს, შესაძლებელია, მაგრამ როგორც ქართველს, გამიკვირდა.

გაუკვირდათ ერევნელ ქომაგებსაც ჩვენების ავტოგრაფების შესაგროვებლად რომ მოსულიყვნენ.



სსპადასსპა

დიეგო მარადონა ის კაცია, რომელიც ფეხბურთიდან კარგა ხნის წინ წავიდა, მაგრამ ათასობით სხვათაგან განსხვავებით მისი სახელი დღესაც მოქმედი ვარსკვლავების სახელებივით უღერს.

მაშინ, როდესაც რივალდონი და ბექემში აბრილის დასაწყისში ხალხის ყურადღების მიპყრობას ბურთითა და თვლით ცდილობდნენ, დიეგო არმანდო კუბაჩუ, შავანის წყლებში მეთევზეთა ნაგში ჩაჯდა, სივარაკობა გააბოღა და მსოფლიოს ყველა ჟურნალ-გაზეთშიც გამოიქიმა.

მე ვზივარ ნავუი...



ჩეკორდი მსოფლიოსი, მოქრო — ეპროკული

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ბერძენი ძალოსანი პიროს დი-მასი იოლად მოიგებდა ხოლმე შტანგას თავს ზემოთ, ღიმილითა და ერთგვარი ნიშნისმოგებით გადახედავდა დარბაზში მსხდობთ, აქადა ნახეთ, რა ძლიერი ვარ, ყველასთვის მძიმე, ჩემთვის ჩიტის წონააო. ჰოდა, ამ ჩვენს პიროსს დაუპარცხებელი და რეკორდსმენი ათლეტის სახელიც გაუვარდა, მაგრამ...

რჩილებით მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, მაგრამ ორჯიდის ჯამში, ირანელ ნასირინიას ჩამორჩა და მხოლოდ ვერცხლს დასჯერდა. აგერ ახლა კი, სოფიაში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ მეხუთე ადგილი იკმარა, თანაც მისი ათენში ნაჩვენები რეკორდი წყალს გაატანეს. მერედა არ იკითხავთ, ვინ? ვინ და ერთ დროს 77-კილოანმა და აქვერად 85 კილომდე მოსუქებულმა გიორგი ასანიძემ, საჩხერელმა ათლეტმა, რომელსაც ქართული სპორტის ქომაგ-სპეციალისტები სიდნიის ოლიმპიადაზე მედლის მოპოვების უპირველეს კანდიდატად მიიჩნევენ.



ასანიძემ სოფიის ფიცარნაგზე სარეკორდო 181 კგ აიტაცა, აკრაშიც მეორე შედეგი აჩვენა, ჯამში 390 კგ მოაგროვა და მსოფლიოს რეკორდთან ერთად ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლითაც დაიმშვენა მკერდი.

ცხადია, სოფიის ფიცარნაგ-იდან ღიმილითა და ნიშნისმოგებით ქართველი გიორგი ასანიძე გადახედავდა დარბაზში შეკრებილთ, აი, ბერძენი პიროს დიმასისა კი რა მოგახსენოთ...



შეიძლება, მარი პირსი 90-იანების ჩოგბურთის სუპერვარსკვლავი გამხდარიყო — ლამაზმანი ფრანგი დებ უილიამსებზე ადრე აყუმბარებდა მეტოქეებს სინათლის სიჩქარიანი დარტყმებით და ანა კურნიკოვაზე არანაკლებ იზიდავდა სპონსორებსა და ძლიერი სქესის ნარმომადგენლებს.

მაგრამ ნამდვილი ჩემპიონებისგან განსხვავებით, მარის მეტის მიღწევის მწველი სურვილი არ აღმოაჩნდა. თავისი პირველი და ერთადერთი დიდი სლემის ტურნირის, ავსტრალიის ლია პირველობის მოგების შემდეგ 1995-ში ფრანგმა ტკბილი ცხოვრების ნესი აიჩრია.

ძილის მდგომარეობიდან პირსი ახალმა ათასწლეულმა გამოიყვანა, თითზე საქმროს, კეტბურთის ვარსკვლავ რობერტო ალომარის ნაჩუქარ ნიშნობის ბეჭედმორგებულმა რამდენიმე ახალი, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო: თებერვალში თვალზე ლაზერული ოპერაცია გაიკეთა და ლინზები მოიშორა, თავის შერეკილ მამას, ჯიმს შეურიგდა, პირე კი მმა, დევიდი აიყვანა მწვრთნელად. ბევრის აზრით, პირსი ერთადერთია, ვისაც ძალუძს წლეულს მარტინა ჰინგისსა და ლინდსი დევენპორტს გაუწიოს კონკურენცია.

აპრილის დამდეგს ჰოკეის ეროვნული ლიგის მორიგი რეგულარული ჩემპიონატი გასრულდა და გამორჩეულმა თექვსმეტმა გუნდმა პლეი ოფის პირველ რაუნდში განაგრძო სტენლის თასისთვის ბრძოლა. ჰოკეი სანაქებო გაჩაღდა და მერვედფინალში სენსაციაც გამოცხვა. სანსოსელმა „კონკიებმა“ შვიდმატრიან სერიაში თასის ერთ-ერთ ფავორიტ სენტ ლუისს 4:3 მოუგეს და მეორე რაუნდში მარშანდელ გამარჯვებულ დაბლასთან დაიჭირეს საქმე. არც პიტსბურგელთაგან ვაშინგტონის 4:1-ით ძლევას ელოდა ვინმე, მაგრამ თუ იმას ვაგვივალისწინებთ, რომ „პინგვინებს“ სუპერჩეხი იარომირ იაგრი ჰყავს, მათგან აღარაფერი უნდა გავგვიკვირდეს. და აი, დასტურიც — პიტსბურგელთა მეთხედფინალში ფილადელფიელთა ორჯერ დამარცხება მოასწრეს. ერთი სიტყვით, ახლა ლიგაში მეთხედფინალები მიმდინარეობს და ჩვენც სამაჟამო ვითარებას ვავეცნოთ: ფილადელფია 0:2 პიტსბურგი, ტორონტო 2:1 ნიუ ჯერსი, დალასი 2:0 სან ხოსე, კოლორადო 2:1 დეტროიტი.



სსპადასსპა

სტეფანიას ჟამიანობა და ათენელთა ჟამი

19 აპრილს დასრულდა ეროვნული საკალაბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატი, რომლის გამარჯვებულაც „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ გახდა. ორიოდ დღეში ლიგის თექვსმეტი რჩეული გუნდი ჩაება პლეი ოფში, რომელიც ქართველი კალაბურთელის გარეშე მიმდინარეობს: „სიეტლ სუპერსონიქსის“ ცენტრმა, ვლადიმერ სტეფანიამ ვარჯიშზე ამერიკული ფეხბურთი ითამაშა, რაც ნადრძობ კოჭად და დამაგებულთა სიაში ჩაწერად დაუჯდა.

„მაიაში პითა“ და „ნიუ იორკ ნიქსა“ აბრილიშვიე მოამთავრეს, პლეი ოფის პირველი წრე, მშრალად მოიგეს თავ-თავიანთი სერები და მეორე წრეში ერთმანეთს დაეჭიდებინა. მათი ბედი „ფილადელფია 76“-მაც გაიზიარა. ეს აღმოსავლეთის კონფერენციაში, დასავლეთში კი აბრილია მეორე წრეში გასულეები ვერ გამოავლინა.

„ორლანდო მეჯიქი“ პლეი ოფში საერთოდ ვერ მოხვდა, სამაგიეროდ მისი მწვრთნელი, წარსულის დიდი მოთამაშე და ამ საქმეში ახალბედა, გლენ „დოკ“ რივერსი წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს.

ევროპაში კი საბერძნეთის, უფრო ზუსტად, ათენელების ჟამი დგას: „პანათინაიკოსმა“ ევროლიგა მოიგო, ხოლო აეკ-მა საპორტას თასი. აეკ-ის ბოლო ევროტრიუმეიდან 32 წელიწადი იყო გასული 1968 წელს ამ გუნდმა საპორტას თასის წინამორბედი, ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიბოვა.



მარიონ ჯონსის აღზომა

მარიონ ჯონსისთვის ნაცნობია ტკივილის ის საშინელი შეგრძნება, არწივის კლანჭების ჩასობა რომ იწვევს და ვერავითარი ატარალვანი ვერ შევლის. ტკივილი მარშან ზაფხულში, მძლეოსანთა სევილი-

ის მსოფლიოს ჩემპიონატზე დაიწყო და აპრილამდე მარწუხეებში ჰყავდა პლანეტის უსწრავესი ქალბატონის სხეული. საჭირო გახდა რვათვიანი მკურნალობა და ერთგული ბულამეულის (ბირთვის მკვრელ სიჯეი პანტერზეა ლაპარაკი) მხარდაჭერა, რათა ჯონსი კვლავ აღმდგარიყო და ჩვენებური აღდგომის წინაღულს... ეს ამბავი ფილადელფიაში მოხდა, სადაც მარიონი კიდევ სამ ამერიკელ ქალბატონთან: ლატაშა ჯენკინსთან, მის სეხნია კოლანდერ-რიჩარდსონთან და ნანსი პერიონთან ერთად ახალი მსოფლიო რეკორდის ავტორი შეიქნა 4x200 მეტრიან ესტაფეტაში. ამ დისტანციის უწინდელი სარეკორდო ნიშნული ბებერი ყოფილა, იგი 20 წლის წინ მოუნიშნავს მაშინდელი აღმოსავლეთ გერმანიის სახელით მობრენალ ოთხეულს; ახლა რეკორდი ამერიკელებმა მიიტაცეს და თანაც, ფრიად შთაბეჭდავი შედეგით — 1 წუთი, 27 მიუილი და 46 მეასედი წამი. ჯონსმა სიდნეის ოლიმპიადაზე ხუთი ოქროს დათრევის თავისეული განზრახვისკენ ფრიად მნიშვნელოვანი განაცხადი გააკეთა. ფილადელფიაში ჯონსმა მეორე ესტაფეტაც — 4x100 დალდაუტანებლად მოიგო.



ჟიულ ვერნის კვალდაკვალ

„ბარსელონამ“ ესპანეთის თასის ნახევარფინალში თამაშზე უარი თქვა და დაისაჯა. ჯარამა: 11 ათას ათი დოლარი და მომავალი გათამაშებიდან დისკვალიფიკაცია. ლუის ვან გაალმა მიზეზად ფეხბურთელების ნაკრებებში გაშვება დაასახელა, მატჩი გადავლით, ითხოვა, მაგრამ ფედერაცია ასე მსჯელობდა: „კამპ ნოუზე“ შეხვედრა 24 აპრილს, საღამოს 7 საათზე იყო დანიშნული და 90+15 წუთში დასრულდებოდა, ხოლო გამოძახებულებს 26 აპრილს 8 საათსა და 45 წუთზე უწყვედათ მინდორზე გასვლა. წესით, კლუბმა მოთამაშე სანაკრებო მატჩამდე 2 დღით ადრე უნდა გაუმუშაოს. ეტყელა ბარსელონა ამ ვადაში?

„ატლენტიკოსთან“ ნამატჩევეს ფეხბურთელებს შხაპის მისაღებად 15 წუთი დაუთმოთ და მანქანებში ჩავსხათ. „პრატ ლელობრეგატის“ აეროპორტი ქალაქიდან 12 კმ-ით არის დაშორებული. ამ მანძილის გავლას 15 წუთზე მეტი არ სჭირდება. აეროპორტში ფეხბურთელთა გზები იყოფა. უმეტესობა ჰოლანდიაში მიიჭარის და ჩვენც მათ გავყვით. ამსტერდამში ჩასაფრუნად საათი და 20 წუთი საკმარისია — რა დროა? 24 აპრილის ღამის 11 საათი. ჰოლანდია-შოტლანდიის მატჩამდე კიდევ ორი დღეა.

არარეალურია? ჟიულ ვერნის გვირმა 80 დღეში დედამიწას შემოუარა — თან მაშინ თვითმფრინავი არ არსებობდა — ესენი რატომ ვერ შეძლებდნენ?

ფანტაზია მოვიშველით:

ოპროს ბიჭი

ჩვენი ნლისას გულშემატკივართა მთელი არმია ჰყავდა და არა მარტო იტალიაში. ვალენტინო როსი...

ეს უღერადი სახელი და გვარი მსოფლიო ავტოდრომების ყველაზე მომგებიან რეკლამად იქცა. მოტორბოლების ისტორიას ბევრი სახელოვანი სპორტსმენი ამშვენებს, მაგრამ მრავალი ტალანტით ასე უხვად დაჯილდოებული არა მარტო მოტო, სხვა სახეობებშიც კი იშვიათობაა.

ეს ქერთომიანი საოცრად სიმპათიური იტალიელი ბიჭი (სილამაზეც ხომ ნიჭია) არა მარტო ნიჭიერად დააქროლებს თავის რაშს, ნიჭიერადაც ხუმრობს: მისი მრავალი ფოტორეპორტიორთა ყურადღებას იპყრობს კვირის საუკეთესო ფოტოდაც იქცევა ხოლმე.

18 წლისა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა კლას 125-ში.

19 წლისა ერთი კლასით მაღლა, 250-იანებში გადაბარგდა.



გედაურული

ცხენების დრო წავიდა... არაბული რაშების ნაცვლად უდაბნოს უკიდევანო სივრცეები დღეს ტანკებს დაუპყრიათ, პრერიებში აღარ ისმის ინდოელთა მუსტანგების ჭიხინი, აღარც ციციკნა ხევსურული ულაყები დახტაან არხენად ლამის ვერტიკალურ ჭიუხებში. ველარ ფასობს ბედშივე ცხენი ძველი დროის მეხუთედსაც, ტექნიკის მსხვერპლი გახდა და თუ სადმე დარჩა მისი ადგილი, უპირველესად სპორტში. ათიოდე მერანი იქნება მსოფლიოში, იქნებ, ცოტა მეტი ან ცოტა ნაკლებიც, რომელთაც კაცობრიობის პროგრესის ჯიშთან ფეხებზე დაკიდება შეუძლიათ. მათ ღირსეულად ჩამთავრეს გახლენილი ატომის საუკუნე და იქნებ პლანეტათა დაპყრობის ეპოქაც მოინდონ. მათზე ადამიანები ზრუნავენ, თითოს ათიოდე კაცი ეკლება თავს; ერთნი სიცხეს და წნევას უზომავენ, მეორენი კულს უწნავენ და ვარცხნიან, სხვებს კი

დილაობით გარეთ გამოჰყავთ, რათა ცივი ნიავი მიაკარონ და მხნეობა შემატონ. ეს ყველაფერი ერთ საქმეს ემსახურება: ჟამიდან ჟამამდე დასავლეთის ელიტარულ იპოდრომებზე ლაღად ქროლას და ასე ათასების მოხვეჭას. რასაც ფოტოებზე ხედავთ, სწორედ ცხენოსნობის უახლესი ისტორიის სასახელო ფრაგმენტები გახლავთ. ბრიტანეთი და ამერიკა, ლივერპული და კენტუკი, ლონდონი და ლექსინგტონი, დოლი, სტიალჩიზი, პანდიკაპი, სამ და ათწლიანი წმინდა სისხლის ულაყები. ბოლოს კი, ტოტალიზატორი, მილიონობით დოლარი და გირვანქა სტერლინგი — ყველა მიყვანილ სიტყვას იმ იპოდრომებზე მუდმივად მობობოქრე ვნებათა ღელვასთან აქვს კავშირი. ვნებათა ღელვა კი მართლაც ფრიალია, თქვენ უნდა ნახოთ ათობით დურბინდი, მჩატე ჟოკების თანხლებით მომპროლავე უღამაზესი ცხოველებისკენ რომ მიუტრიალებიათ და გულიდან ამოხეიქილი ემოციების ის ზორბა ნაკადები, განსაკუთრებით ფინიშის ხაზთან მიახლოებისას რომ იფეთქებენ. კარგი სანახავია...



ვალენტინო როსი

ის სეზონი ურიგოდ არ ურბოლია, შემდეგი სეზონი კი კვლავ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულით აღნიშნა. ამის შემდეგ, ცხადაა, ყველაზე პრესტიჟული — 500-იანების ჯერიც დადგა.

21 წლისა მსოფლიოს საუკეთესო მოტომობილებს შორის ჯერჯერობით გამარჯვების ერთ-ერთ კანდიდატად ითვლება. თუმცა ყველა სპეციალისტს მიაჩნია, რომ სიტყვა „ერთ-ერთი“ დროებითია. ახლახან ესპანეთში, ხერესის წრეზე გამართული რბოლის შედეგით სწორედ ამ მოსაზრებას ადასტურებს — იქ, პოდიუმზე წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერების გვერდით გულშემატკივართა უცვლელი კერპი, ისეთივე ბიჭური და მომღიმარი ვალენტინო როსი იდგა.



მწვანე ნახვის აყვავება

ჩარაკელის სიმფონია მისივე დირიჟორობით

მერაბ რაზივილი სალონიკი-თბილისი

ნამდვილად სალონიკში ვარ, სადაც ვვროლიგის „ოთხთა ფინალის“ მატჩები უნდა მიმოვიხილო? — ეს გავიფიქრე პირველად, როცა ჰაბერმეიტის სიდიდით მეორე ქალაქში ჩავედი და ირგვლივ მიმოვიხედე. ამის მიზეზი კი ნამგალითა და უროთი დამშვენებულ პლაკატთა სიმრავლე იყო, რომლებიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გაეკრათ: კედლებზე, ბოძებზე, სარკეებში დაფეხზე, ხეებზე... საბერძნეთის კომუნისტური პარტია 9 აპრილს გამართულ საპარლამენტო არჩევნებზე მხარდაჭერას ითხოვდა...

მთელი ბავშვობა და ყრმობა ნამგალურის მაყურებელს გულწრფელად მშურს საბერძნეთის მოსახლეობის: მასზე არც უროს რტყმამ გაჭრა და არც ნამგლის გამოსმამ — კომუნისტებმა პარლამენტში თითებზე ჩამოსათოვლევი ხმების რაოდენობა მიიღეს. მე კი ის ვიფიქრე, სალონიკის ნაცვლად 80-იანი წლების მოსკოვში ხომ არ მოვხვდი, სადაც ცსკა-„ჟალგირისის“ რომელიმე სუპერფინალი უნდა გაიმართოს-მეთქი.

თუმცა, ევკვი მალე გაიფანტა. ორიოდ საათიც საკმარისი აღმოჩნდა იმის გასააზრებლად, რომ სალონიკი, ისტორიული მაკედონიის დედაქალაქი, რამდენიმე დღით ევროპის საკალათბურთო დედაქალაქად იქცა. „ოთხთა ფინალზე“ ლაპარაკობდა ყველა და ყველაფერი: ტაქსისტებიც, გამყიდველებიც, ძირძველი სალონიკელი მოქალაქეც, ტელევიზიის ყველა არხი და ნებისმიერი პროფილის გაზეტი.

„ოთხთა ფინალის“ არსებობა იცოდნენ სალონიკის ცენტრში მდებარე არისტოტელეს სახელობის მოედანზე, სადაც წინასწარ აღდგომო ბაზრობის დახლები იყო დაწყებული. იმ ადგილას ერთადერთი ენა გჭირდება — რუსული (შიგადაშიგ — ქართულიც), დანარჩენი ენები (თვით ბერძნულიც კი), დიდი შანსია, ვერაფერში გამოიყვრო. იქ მრავლად ნახავთ ქართულ არაყს, სივარეტს, ათასგვარ წვრილმანს. ვერ გეტყვით, რომ იქ მოტრიალე ხალხს კალათბურთი დიდად ანაღვლებს, მაგრამ ის კი იცოდნენ, რომ მათ ქალაქში რაღაც დიდი ღონისძიება უნდა გამართულიყო.

დავტოვით ის ხალხი არისტოტელეს მოედანზე თავიანთი უამრავი პრობლემებით და „ოთხთა ფინალის“ სარბიელს —

სალონიკის პაოკ-ის კუთვნილ დარბაზს მივაშუროთ. ახალთახალი დარბაზი ქალაქარეთ, ცენტრიდან დაახლოებით 20 კილომეტრში მდებარეობს. იქ პირველად რომ მივედი, თამაშებამდე სამი დღე რჩებოდა, მაგრამ ამ ერთობ ლამაზ და ორიგინალურ დარბაზში და მის შემოგარენში უკვე მორიგეობდნენ პოლიციელთა გაძლიერებული რაზმები. უსაფრთხოების ზომებს განსაკუთრებული სიმკაცრით იცავდნენ და არც გაემტყუნებოდათ: სტამბოლში ორიოდ დღის წეს ინფლისელი ფეხბურთის ფანები დახოცეს; „ოთხთა ფინალის“ ნახევარფინალში ერთმანეთს ბერძნული „პანათინაიკოსი“ და თურქული „ფევის“ ხვდებოდნენ. ამ ორი ქვეყნის არცთუ თბილი ურთიერთობა ხომ საქვეწმარადა ცნობილი; სალონიკში ელოდნენ 5 ათასამდე ათენელ გულშემატკივარს, რომლებიც „ოთხთა ფინალის“ მასპინძელ ქალაქში განსაკუთრებით სძულთ... ვგონებ, საკმარისი მიზეზებია იმისთვის, რომ პოლიციას ყურადღება გაეთმავებინა. გუნდებს შავმინიანი ავტობუსებით და პოლიციის მსუბუქი ავტომანქანების სოლიდური ესკორტით დაატარებდნენ.

ქალაქი ოზრადოვოიჩი



რებდნენ. ვარჯიშებისას მოედნის სიახლოვეს არავის უშვებდნენ. ყველა კარში შესვლა-გამოსვლისას სააკრედიტაციო ბარათებს გვიმორწმუნებდნენ. თუმცა, დროთა განმავლობაში უსაფრთხოების ზომები მნიშვნელოვნად შერბილდა და პირადად მე მუშაობა გაცილებით გამიადვილდა.

„ოთხთა ფინალს“ ჰყავდა გამოკვეთილი ფავორიტი — ათენის „პანათინაიკოსი“ და ამ ფაქტს ვერავინ უვლიდა გვერდს, ვერც სპეციალისტი და ვერც გულშემატკივარი. თვით ამ გუნდისადმი მტრულად განწყობილი სალონიკელი ფანებიც აღიარებდნენ „პანათინაიკოსის“ სიძლიერეს, თუმცა დასძენდნენ: „ოთხთა ფინალში“ ნებისმიერს ვუქომაგებთ მაგ „მწვანე ნახვების“ გარდაო („პანათინაიკოსი“ მწვანე ფორმით თამაშობს — მრ.).

ზემოთაც მოგახსენეთ, „პანათინაიკოსის“ ათენიდან ხუთი ათასამდე მხარდამჭერი ჩამოჰყვა, რომლებიც კლუბის დროშებით თუ სხვა ატრიბუტიკით დარბაზს უშლად გამწვანებდნენ ხოლმე. სალონიკელებსთვის რომ განერიდებინათ, კლუბის მესვეურები მათ ქალაქარეთ, დათქმულ ადგილებზე კრებდნენ და საგანგებო ავტობუსებით პირდაპირ დარბაზში, უფრო ზუსტად, „პანათინაიკოსის“ ქომაგთათვის განკუთვნილი სექტორების შესასვლელთან მიჰყავდათ. ამით ათენელი გულშემატკივრები ერთგვარად იზოლირებულნი იყვნენ თელავის „მაკაბის“ 2500 და სტამბოლის „ფევის“ 2 ათასი მხარდამჭერისგან. „ბარსელონას“ ქომაგებზე ლაპარაკი არც ღირს: ისინი ას კაცამდე ძლივს მოგროვდებოდნენ. ასეთი სიმცირე ფეხბურთის ბრალი იყო: „ოთხთა ფინალის“ დაწყების დღეს საფეხბურთო „ბარსელონა“ „კამპ ნოუზე“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ჩელსის“ მასპინძლობდა. ფანობის აბსოლუტური უმრავლესობა შინ დარჩა და არ წავაო.

პაოკ-ის დარბაზი დიდი არ არის, სულ 8 ათას მაყურებელს იტევს. აკუსტიკაც ძლიერია და, ამდენად, ქომაგთა სიმრავლე და არაადამიანური ხმაური განსაკუთრებული სიმძაფრით აღიქმებოდა. იყო მომენტები, როცა საკუთარი ხმა აღარ მესმოდა, ერთი ორჯერ კი სერიოზულად შემეშინდა, არ დავფრუდებო. ფანთა აქტიურობის მიუხედავად დარბაზსა და მის შემოგარენში არ მომხდარა ერთი, თუნდაც უმნიშვნელო ინციდენტი. სხვადასხვა გუნდების მხარდამჭერთათვის განკუთვნილ სექტორებს შორის პოლიციის ორ-

ორი მწკრივი იდგა. ისინი არ უშლიდნენ ხალხს ყვირილს, დროშების ფრიალს თუ დოლის ბაგაბუგს. თუმცა, საკმარისი იყო ერთი გუნდის ქომაგს მეორისთვის ცუდად შეეხედა, პოლიციელები, თითქმის მიწიდან ამოძვრნენო, მათ შორის განდებოდნენ და მდგომარეობაც განიძურებებოდა. რბევას მაინც ვერ ასცდა სალონიკი: ნაფინალევს, გვიან ღამით, „პანათინაიკოსის“ გამარჯვებით აღმოვითებული ადგილობრივი ხულიგნები ქუჩებს მოედნენ და ის მანქანები დაღეწეს, რომლებსაც ათენის ნომრები ჰქონდათ.

„ოთხთა ფინალის“ სპორტულ მხარეზე საუბარი ყველაზე დიდი იმედგაცრუებით დავიწყით. ეს „ბარსელონა“ იყო, რომელმაც მთელი სეზონი რიგიანად ჩაატარა და რომელსაც უძრავლესობა ფინალში ელოდა. პროგნოზების საწინააღმდეგოდ, „ბარსელონა“ „ოთხთა ფინალი-სთვის“ აბსოლუტურად მოუმზადებელი აღმოჩნდა. მოთამაშეთა შორის კავშირი დარღვეული იყო, არ ჩანდა ელემენტარული კომბინაციები. გუნდის თამაშში ძალზე იშვიათად შეიძინებოდა მაღალი დონის კალათბურთის ელემენტები. ჩანს, მწვრთნელმა აიტოვარსა რენესანსი ვერ განაწყო შეგირდები სათანადოდ.

მესამე ადგილისთვის „ბარსელონას“ მოცილე „ეფესოს“ უდიდესი ყურადღება და მნიშვნელობა მიანიჭა ამ მატჩს. „პანათინაიკოსთან“ პირუშინდად წაგებული ნახევარფინალის მიუხედავად, სტამბოლელებმა ყურები არ ჩამოყარეს და მესამე ადგილისთვის მატჩს ისე მიუდგნენ, როგორც გადამწყვეტს. წინა საღამოს მწვრთნელმა ერგინ ათამანმა მეტად სერიოზული ვარჯიში გამართა, რომელიც ზუსტად ორ საათს გაგრძელდა. მანამდე კი „ბარსელონამ“ ივარჯიშა ერთი საათი, მაგრამ იმას უფრო მოთელვა ეთქმოდა. შედეგიც ლოგიკური იყო — „ეფესოს“ მოიგო და, შეიძლება ითქვას, მაქსიმუმზე მეტსაც მიაღწია: გუნდისთვის, რომლის თამაშშიც მხოლოდ სასტარტო ხუთეულზეა აწყობილი, ევროლიგის მესამე ადგილაც კი ბეგრია.

„მაკაბი“ სეზონი რიგით გუნდად დაიწყო, მაგრამ მერე ისე მოუმატა, რომ ფინალში ბევრი ფავორიტად თვლიდა. გუნდის აქციები ძლიერ გაზარდა ნახევარფინალში „ბარსელონას“ შთამბეჭდავად დამარცხებამ. ეს შეხვედრა ებრაელებმა მწვრთნელ პინი გერმონის ნაქადაგვე ზეგარესიული დაცვის და ამერიკელი ცენტრის ნათანელ ჰაფმანის დიდებული თამაშის წყალობით მოიგეს. ჰაფმანმა იმდენად

ძლიერად ითამაშა, რომ ექსპერტები ფიქრობდნენ, ფინალში „პანათინაიკოსი“ მას ვერ შეაჩერებო. „მაკაბის“ აღმასვლა მართლაც ძველი იყო. ამასთანავე გუნდმა ჩამოყალიბებული და აწყობილი მექანიზმის შთაბეჭდილება დატოვა. თელავიელთა გუნდური თამაში ხომ თითქმის იდეალური იყო. მაგრამ რა იცოდა „მაკაბი“, ვინ ელოდა ფინალში...

ცხადია, „მაკაბი“ კარგად უწყობდა „პანათინაიკოსის“ და მისი ლიდერების, იუგოსლავიელების დეიან ბოდროვას და ველკო რებრანას ძალა. არც ტომით ებრაელი, წინა სეზონში „მაკაბიში“ მოთამაშე ოდედ კატაში ავიწყდებოდა და მასაც უფრო ხოდა. როგორც მერე გაირკვა, თურმე არცთუ უსაფუძვლოდაც. მაგრამ მაკაბელებს ყველაზე მძიმე დარტყმა იმან მიაყენა, ვინც მოედანზე სათამაშოდ არ გასულა. ის კაცი თითქმის მთელი მატჩი მოედნის კიდეზე იდგა და თავის მზაკვრული ნააზრევით „მაკაბის“ ორმოს უთხრიდა.


ველკო ობრადოვიჩი 40 წლისაა. იუგოსლავიის ქალაქ ჩაჩაკში დაბადებული და კალათბურთის ნიჭი რომ არ ჰქონოდა, დღესაც იქ იქნებოდა. რა უნდა ეკეთებინა ობრადოვიჩს? ალბათ, იქნებოდა ჩვეულებრივი მოხელე, საღამოს, სამსახურის შემდეგ, სადმე დუქანში შეივილიდა, მშაკაცებთან ერთად თითო-ორილა ბოთლს გადაყლურწავდა და მერე ან იხმაურებდა, ან იჩხუბებდა. და ასე იქნებოდა გაუთავებლად, დღიდან დღემდე. ობრადოვიჩისა და ევროპული კალათბურთის საბედნიეროდ, ღმერთმა ამ კაცს ნიჭი მისცა. ამით ჩაჩაკა ერთი სავარაუდო დეპოზიორი დაკარგა, ხოლო საკალათბურთო ევროპამ უდიდესი მწვრთნელი შეიძინა.

ობრადოვიჩი ერთი უბირი, ჯავჯანა, მაგრამ ამავდროულად საკმაოდ ხუმარა კაცია. პრესკონფერენციებსა თუ ინტერვიუების დროს აშკარად თავმეკავებულად და ზრდილობიანად იქცევა, მაგრამ ვარჯიშზე შეუძლია უკანასკნელი სიტყვებით გამოლანძლოს რომელიმე შეგირდი. „შენ ოდესმე ისწავლი კალათბურთის თამაშს თუ მთელი ცხოვრება თვამ უტვინიოდ უნდა იყო“ — თავად გავიგონე, როგორ შეუტია ობრადოვიჩმა ვარჯიშის წინ ერთ-ერთ პანათინაიკოსელს. ეს კალათბურთელი კი არც მეტი, არც ნაკლები, დეიან ბოდროვა იყო — ამჟამად ევროპის უდავოდ უძლიერესი მოთამაშე, ევროპის რამდენიმეჯგუფის საუკეთესო კალათბურთელი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი

და ამ შევიძირების უძვირფასესი მოთამაშე. განა ობრადოვიჩმა არ იცის ბოდროვას ფასი, მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ თავად ბოდროვამაც კარგად უწყის თავის მასწავლებლის ფასი, ხოლო კარგი მოქმელის და კარგი გამგონის ამბავი თქვენც ძალიან კარგად მოგხსენებათ.

ვარჯიშისას ობრადოვიჩი დიქტატორია. მისთვის არ არსე-

ბუნას თვალს მოავლებდა და ორივე ხელს რამდენჯერმე მაღლა ასწევდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მანოს პაპადოპულოს დარბაზში მყოფები უნდა ჩამოეკვლო და ვარჯიშის დატოვება ეთხოვა. ობრადოვიჩი შეღავათს არავის უწყევდა, უურნალისტები რა სათქმელია, დამლაგებლებს და მუშებსაც არ აჩერებდა დარბაზში. ის კი არა, ერთხელ ვიღაც პოლიციის ბე-



პანათინაიკოსელი ქალაქო რუბრაჩა „მაკაბის“ ფარს უბავს

ბობს არაფერი შეგირდების, ბურთის და მოედნის ვარდა. ამას სამ-ოთხწუთიანი შთაბეჭდილებიდან გამომდინარე ვამბობ, თორემ თუ ვინმემ ვითხრაო, სალონიკში „პანათინაიკოსის“ ვარჯიშის დავესწარიო, არ დაუჯეროთ. ამის ბედნიერება მხოლოდ კლუბის მოხელეებს და კარებთან სამორიგოდ გამწყესებულ ორიოდ პოლიციელს ჰქონდათ.

„მანოს“ — გასძახებდა ვარჯიშზე შემოსული ობრადოვიჩი კლუბის მენეჯერს, ტრი-

რქენი დიდმონხელეც გაისტუმრა გარეთ.

ობრადოვიჩის ატლანტის ოლიმპიადიდან ვიცი, პირადად შეხვედრივარ და მისაუბრია თავი გაგასხენ და ვარჯიშზე დასწრების ნებართვა ვითხოვე მასსოჯეროთ. ამის ბედნიერება მხოლოდ კლუბის მოხელეებს და კარებთან სამორიგოდ გამწყესებულ ორიოდ პოლიციელს ჰქონდათ.

დახურა ცეცხლისთვის „პანათინაიკოსის“ ვარჯიშები ამ მართლაც შესანიშნავად მწვრთნელმა.

ფინალი — ობრადოვიჩის ტაქტიკური შედეგია. „პანათინაიკოსის“ და „მაკაბის“ ფორმების ფერთა გამო ეს დაპირისპირება „მწვანე-ყვითელ სიმფონიად“ მიიწოდება. ობრადოვიჩმა თავად დაწერა ეს სიმფონია და უღირიჟორა კიდევ ხალხი ეს პირველ ვიოლინოს ელოდა. ამ ფუნქციის შემსრულებელი არსებობს — დეიან ბოდროვა ამისთვისაა გაჩენილი და არაერთხელ, თან სულ სხვადასხვა დონეზე, გამოუვლენია ეს უნარი. ყველა ბოდროვას ელის, ყველა იმას ანგარიშობს, როგორ შეაჩერებს „მაკაბი“ იუგოსლავიელს.

იწყება თამაში. ბოდროვა ორკესტრშია, ოღონდ არა პირველ ვიოლინოდ, არამედ დასარტყამ თეფშებზე. „პანათინაიკოსის“ ლიდერი არ ლიდრობს, რიგითი კალათბურთელია, უნიციატეოდ თამაშობს და განსაკუთრებულს არაფერს აკეთებს „მაკაბი“, ცოტა არ იყოს, იბნევა: დაცვა ბოდროვას

ობაში შეძევდა კატაში მოედანზე და თავიდან ისეთი შეცდომები დაუშვა, იფიქრებდით, „მაკაბის“ მხარესაა.

სუსტი თამაშის მიუხედავად, ობრადოვიჩი კატაში არ ცვლის. მაკაბელებს ჰგონიათ, რომ მათი თანამემამულე შოკშია, ამიტომ შეტევაში ფრთები ესხმევათ და ხუთი ქულით გადიან წინ. რებრანა და ირლანდიელი პატ ბერკი ხისტად ეთამაშებიან ჰაფმანს და, ბოლოს და ბოლოს ღლიან. „მაკაბის“ მწვრთნელ გერშონს საიმედოდ ეჩვენება ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე მოპოვებული შედეგით. უპირატესობა და პირველ შეცდომასაც უშვებს: ჰაფმანს ასვენებს და მის ნაცვლად 222-სანტიმეტრიანი რუმი-ნელი კონსტანტინ პოპა შეჰყავს.

ობრადოვიჩი თითქოს ამას ელოდა, კატაში და რებრანას თვალს უკრავს და იწყება... 53 წამში „პანათინაიკოსის“ ებრაელი ფარქვეშ ორ პასს აძლევს იუგოსლავიელს, ისიც აქეთ-იქით ტრიალებს და მოუქნელ პოპას ორჯერ აჯარიმებს. ტა-

მას პირველ ვიოლინოდ ამწყვებს. „ფოცი-სი პერსპექტიული ბიჭი კი არის, მაგრამ ევროლიგის ფინალში გუნდის ლიდერობა როგორ უნდა გასწიოს?“ — აღბათ, ამას ფიქრობს „მაკაბის“ ხელმძღვანელობა და აძვერადაც ტყუვდება: ნორჩი ბერძენი ჯერ სამქულიანს ავდებს, მერე კი ზედიზედ სამჯერ ყოჩაღობს ფარქვეშიდან.

ფოცისის „სოლოს“ შემდეგ „პანათინაიკოსი“ თერთმეტი ქულით იგებს და აქ ცდება ფინალში პირველად და უკანასკნელად. თითქმის დაპატრონებული რისის ელვარებამ ათენელები მოაღუნა, თათც ისარგებლა „მაკაბი“ და ანგარიშში სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდა.

ამ კრიტიკულ მომენტში ობრადოვიჩი კიდევ ერთხელ ცვლის პირველ ვიოლინოს და იმედს კატაში ამყარებს. რწმენაშემატებული ებრაელი ურთულეს სამქულიანს ავდებს, განელეზულ „მაკაბის“ გვარიანად ავრილებს და თან სერიოზულ ბზარს უჩენს. თუმცა, საქმე გაკეთებული ჯერ არაა, მაკაბელები იოლად არაფერს დათმობენ, მით შეეტეს, თამაში ნელ-ნელა ირევა, რაც თელავიელებისთვის მისწრებაა.

ობრადოვიჩი საბოლოოდ ცვლის პირველ ვიოლინოს და გადამწყვეტი აკორდის აუბას... დეიან ბოდროვას ანდობს. „რა უნდა მოახერხოს ბოდროვამ, მთელი თამაში არაფერი უკეთებია, თან ტრავმა მიიღო და კოჭლობს“ — იქნებ ეს გაიფიქრა „მაკაბის“ ხელმძღვანელობამ და კიდევ ერთხელ შეცდა. დეიანი ფარზე აქტიურობს, სამ ბურთს ხსნის და, რაც მოავრია, თამაშს აწყნარებს: ბურთის ფალობისთვის განკუთვნილ 30 წამს ბოლომდე იყენებს, მერე გარღვევაზე გადის და მეტოქეს დაჯარიმების გარდა არაფრის შანსს არ უტოვებს. ასე გაიზარდა სხვაობა ათ ქულამდე... ორიოდ წუთში „პანათინაიკოსი“ ხარობდა, რებრანა „ოთხთა ფინალის“ უძვირფასესი მოთამაშის პრიზს იღებდა... კატაში ჯერ „პანათინაიკოსის“ ქომაგებმა შეისვეს მხრებზე, მერე კი „მაკაბის“ მხარდამჭერებმა. საწყალ კატაში პირველად ელიმბა, მაგრამ ამ ღიმილშიც დიდი ტკივილია... მრავალჯის შეცდენილი გერშონი ცოფებს ყრის, თანაშემწეებს ეჩხუბება. ორიოდ წუთში, პრესკონფერენციაზე, „მაკაბის“ მწვრთნელი წაგებას მსაჯებს დააბრალებს, რაც საოცრად არ უხდება ამ კარგ სპეციალისტს... იქით კი, მოედნის კიდეზე, დასაწყვეთ-ყვითელი სიმფონიის“ ავტორ-ლირიკური და ცალყბად იღიმება.



2000 წლის ევროლიგის გაბარჯვაზელი ათენის „პანათინაიკოსი“

შეჩერებაზე მომართული, ეს კი საერთოდ არ უტევს. ნადავ ჰენფელდმა, რომელსაც იუგოსლავიელის მეურვეობა უნდა ეკისრა და ამის გამო გვარიანი ფსიქოლოგიური ტვირთი დააწვა, ფუნქცია დაკარგა.

ობრადოვიჩმა პირველად გამოიყვანა წონასწორობიდან „მაკაბი“. პირველ ვიოლინოდ მერე იუგოსლავიელი, ცენტრი ყუელი რებრანა გამწვანდა, რომელიც ფარის მიდამოებიდან რამდენიმე მარტივ ბურთს ავდებს. დაცვაში რებრანა ჰაფმანს იჭერს, ოღონდ, ცოტა არ იყოს, რბილად ეთამაშა და მაკაბელ ცენტრს ქულების დაგროვება არ უჭირს.


ობრადოვიჩი პირველ ვიოლინოს ცვლის და ამ რთული საქმისთვის ებრაელ ოლედ კატაში იმეტებს. ეს კალათბურთელი ფსიქოლოგიურად საშინელ დღეშია: ამბობს, ნეტავ თასის შუაზე გაჭრა შეიძლებოდა, თორემ ყოფილ მაკაბელს მშობლიური გუნდის წინააღმდეგ თამაში ძალიან გამძინელდება. წინა დღით ფესახი იყო, ებრაელთა რელიგიური დღესასწაული. კატაშია, ობრადოვიჩის ნებაართვით, „მაკაბის“ ადგილსამყოფელს ნებაშურა და დღესასწაული თვისტომებთან იხეიმა, მერე დღეს კი მათ უნდა შეებოდა. აი, ასეთ მდგომარე-

იმს კი კატაში თავად ასრულებს, როცა აფორიაქებულ თვისტომებს მარცხენა ფლანგიდან სამქულიანს უვდებს.

შესვენებაზე გერშონი უკვე რებრანას წინააღმდეგ დაცვის მექანიზმებს არჩევს. იწყება მერე ტაიმი, რებრანა სადავო ბურთზე საბრძოლველად ცენტრში მიდის, მაგრამ ობრადოვიჩს იგი მოედნიდან გამოყავს და მის ნაცვლად ბერკს აყენებს. ბერკს ერთი დავალება აქვს — შეტევაშიც და დაცვაშიც ეჭიდოს ჰაფმანს. ჩანაფიქრი ამართლებს — მაკაბელთა ლიდერი მეოთხე პერსონალურს იღებს და ცოტა ხნით სკამზე ჯდება.

და ვინ არის ამ დროს „პანათინაიკოსის“ პირველი ვიოლინო? აქამდე ჩრდილში მყოფი გუნდის კაპიტანი ფრაგისკოს ალვერტისი. იგი ჯერ თავად ავდებს, მერე კი თავისიანთა შეტევებს უნარიანად უძღვება. როცა ალვერტისის დრო დამთავრდა, „პანათინაიკოსი“ უკვე რვა ქულით იყო წინ. პერსონალურების პრობლემა სერიოზულად ღებდა. ოთხ მაკაბელს და ორ პანათინაიკოსელს თიხ-თიხი ჯარიმა უგროვდება. ობრადოვიჩი მორივ ავანტიურაზე მიდის და თამაშში 18 წლის ფორვარდ ანტონის ფოცისს რთავს. უფრო სწორად,

<p>ევროლიგის „ოთხთა ფინალი“</p>	
<p>18-20 აპრილი. 2000. სალონიკი</p>	
<p>ნახევარფინალი</p>	
<p>მაკაბი (თბილისი)</p>	<p>65:51 (შსაანთი)</p>
<p>პანათინაიკოსი (საბარკნთი)</p>	
<p>81:71 (თბილისი)</p>	<p>მუშისი (თბილისი)</p>
<p>III ადგილისთვის</p>	
<p>მუშისი (თბილისი)</p>	<p>75:69 (შსაანთი)</p>
<p>ფინალი</p>	
<p>პანათინაიკოსი (საბარკნთი)</p>	<p>73:67 (თბილისი)</p>



ლენოქს ლუისის აპროტება მიიღო გრანტი მეორე რაუნდში დასვა

შედეგად

გიორგი ახვლედიანი

ლენოქს ლუისმა ამერიკელები გაამხეცა. მთელი მეოცე საუკუნე იხე გაილია, რომ კრივის მთავარ, მიიმე ნონაში ერთხელ თუ იყო ჩემპიონად არამერიკელი და ისიც მეორე მსოფლიო ომამდე. და აი, საუკუნის მინუტულს გამოჩნდა ერთი ვინმე იამაიკელ-კანადელ-ბრიტანელი გოლიათი, რომელმაც სამ პრესტიჟულ დანესებულეაში მოიპოვა მიიმე ნონის ქამრები და უდავო ჩემპიონად გამოცხადდა.

ლენოქს ლუისი სამყაროს უძლიერესი მიიმეწონოსანია.

ამერიკულმა სასამართლომ გაქნილი პრომოუტერის, დონ კინგის სარჩელის საფუძველზე ორიოდ კვირის წინ მაინც ჩამოართვა ლუისს ერთ-ერთი დანესებულეების, ასოციაციის ქამარი, რითაც ფორმალურად მაინც შეძლო ტიტულ „უდავო ჩემპიონის“ გაუქმება. ამისდაკვალად, ლუისმა განაცხადა, რომ ფეხებზე ჰკიდია ყველა ქამარი და ყოველგვარი ტიტულის გარეშე ინვესს საჩუბრად ნებისმიერს, ვისაც ჰგონია, რომ ბრიტზე ძლიერია.

ლუისზე ძლიერი დღეს არავინ არის.

29 აპრილს ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ ამერიკული პატრიოტიზმი ბობოქრო-

ბდა. დარჩენილ ორ ქამარს, საბჭოთას და ფედერაციისას უმიზნებდა სადღეისოდ, ალბათ, საუკეთესო ამერიკელი მიიმეწონოსანი მაიკლ გრანტი. გონგს რომ ჰკრეს გაირკვა, რომ გრა-

ნტი არ არსებობს. ბრძოლის ბედის გადასანყვეტად ლუისს ორი რაუნდი ეყო. მისი სანოკაუტო აპერკოტი ნესის დარღვევით შესრულდა, რახან ლუისმა თავისუფალი ხელით გრანტის კისე-

რი დაილლია და რეფერისაც არ უნდა ჩაეთვალა ეს დარტყმა, მაგრამ... მაგრამ მანამდე იყო ორი ნოკდაუნი და სრული შეგრძნება იმისა, რომ იმ სალაშოს გრანტი მოკვდებოდა. არ ჩაითვლებოდა ეს ნოკაუტი, ჩაითვლებოდა სხვა.

ეროვნული ლოზუნგებით შეგულიანებულმა გრანტმა ალიარა, რომ ერთგვარად დაკარგა ობიექტურობის გრძნობა და თან მლელვარებამ ხელი შეუმალა თავის უკეთეს თვისებათა წარმოსაჩენად.

ლუისმა კი აღნიშნა: „ყველამ ნახეთ? ნოკაუტებს მრავლად გპირდებით. ოლონდ კი გამოჩნდეს ვინმე“.

მართლაცდა, ვინც არ უნდა მოიგოს ასოციაციის ლუისისთვის წართმეული ქამარი, თვით ევანდერ ჰოლიფილდმა, ან ვილაც ჯონი როისმა, ცხადია — მსოფლიოს ნაღდი ჩემპიონი ლენოქს ლუისია.

ვის იპოვიან ბრიტან დასაჯაბებლად?

ახლა ძნელი წარმოსადგენია — ჯერჯერობით არავინ ჩანს ისეთი, ლენოქსს რომ ღირსეულად შეეჯიბროს.

ამიტომ, უმჯობესია ასე ვიკითხოთ:

ვინ დახარბდება დიდ ჰონორარს, რათა რაუნდნახევარში გაილახოს მსოფლიოს ნაღდი ჩემპიონის მუშტი?

ლენოქს ლუისი: ქამრები ჩემია!



REUTERS

ნლეულს უუიის ჯერიი მიკა ჰაპინენი ბულს ურივის

მია ახალაქი

საოცარი სპორტია ფორმულა 1. მიუღწეველია სულ 22 კაცი მისდევს ამ სახიფათო ხელობას, მათი 800-ცხენისძალიანი ურჩხულების ფეთიან ჯირითს კი მილითის ხალხი გულისფანქვლით შესცქერის. აუდიტორია მართლაც შესაშური — ორასი ათასამდე გულშემატკივარი უშუალოდ ტრასის ირგვლივ და ათეულ მილიონობით 200 ქვეყნის ტელეეკრანებთან.

სამეფო რბოლების ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში 650 ეტაპი გამართულა, რომლებშიც 584 პილოტმა იბრძოლა, მათ შორის ერთი-ორი მშვენიერი სქესის წარმომადგენელიც არაა. ერთი გამორჩეულთაგანი იტალიელი ლეილა ლომბარდი გახლავთ — გაბედულმა ქალიშვილმა 12 რბოლაში მოასწრო გამოსვლა და ერთხელ, 1975 წელს, ესპანეთის დიდი პრიზის გათამაშებაში მეექვსე ადგილზეც კი აღმოჩნდა, თუმცა საამისოდ განკუთვნილი ერთი ქულის ნაცვლად მხოლოდ ნახევარი მიუთვალეს, რაკი საშინელი ავარიის გამო ასპარეზობა ვადამდე შეწყდა.

წლევეანდელი, რიგით 51-ე ჩემპიონატის მონაწილეები პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველში, თუკი ორ კაცს ჯგუფს დავარქმევო, უმთავრესი ფაქტორები — მიკა ჰაკინენი და მიხაელ შუმახერი შედის. მიმდინარე სეზონიც, ალბათ, მათი სამკვედრო-სასიცოცხლო დაპირისპირებით ჩაივლის და ღმერთმა უწყის, ოქტომბერში როგორ დასრულდება. გულშემატკივრისთვის კი იმაზე სასურველი რაღაც იქნება, თუ ჩემპიონის ვინაობა წინა წლების მსგავსად, ამჯერადაც მხოლოდ ბოლო რბოლაში გაირკვევა და ცალ კარში თამაშს არ დაემგავსება, როგორც თავიდან ჩანდა.

მეორე ჯგუფში ხუთი-ექვსი პილოტი, ვისაც ძალა შესწევს თავისი აქტიურობით „ახებს“ სისხლი გაუმშოს, დანარჩენებს კი არც მანქანებისა და არც საკუთარი ოსტატობის დონე იმაზე მეტის საშუალებას არ აძლევს, ვიდრე მხოლოდ ჩაეთვალოთ მონაწილეობა და კინკლა ქულისთვისა და იწვალონ.

ფავორიტებზე მოგახსენებო. ორივენი ტოლები, 31-წლისანი არიან, რბოლითა თანაბარი რაიონობაც ჩაუტარებიათ და ორჯონის ჩემპიონობაც მოუწურიათ, თუმცა თითო-ჯერ უმძიმეს ავარიაშიც მოხვედრილან. ხუთი წლის წინ ავსტრალიაში, ავღლიანის ტრასაზე ვარჯიშისას ჰაკინენის „მაკლარენი“ საშინელი სიჩქარით ბეტონის დამკვრე კედელს შეასკდა. შოკში ჩავარდნილ მრბოლს სუნთქვა შეეკრა და ცხადია, დიდხანს ასე ვერ გაატანდა. ბედად, „სასწრაფო“ იქვე ასილიდ მტერში იმყოფებოდა. გამოცდილმა მედიკოსებმა მას ტრასაზევე ჩაუტარეს ტრანკვილანტი, მერე კი ადვლადის პოსპიტალში გადაიყვანეს. მართალია, მიკა მეორე დღესვე მოვიდა გონს,

მაგრამ მხოლოდ ერთი თვის შემდეგ შეძლო კლინიკიდან თავის დაღწევა.

ფინელი სწორედ რომ კერკეტი კაკალი ყოფილა, რადგან ამჯერად ფიზიკურ-ფსიქოლოგიური ტრავმის მერე, ბევრი სულაც ხელს ჩაიქნედა და გაცილებით მშვიდ პროფესიაზე გადაერთვებოდა. ჰაკინენმა ვაგრძელდა არჩია და აკი ასე დაუფასდა კიდევ რისკი.

შუმახერს ფათურაკი შარშან ინგლისში შეემთხვა ჩქაროსნულ „სილვერსტონზე“ ასპარეზობის პირველივე წრეზე. მართვა-დაკარგული მისი „ფერარიც“ შურდულივით დაქვევრებოდა ისეთივე კედელს, ნახშირი საბურავების დამკვრე წინაღობას რომ არ შეეკავებინა და შედეგიც ბევრად მძიმე იქნებოდა. საბედნიეროდ, მიხაელი შედარებით იოლად — ორ ადვილას ფეხის მოტეხვითა და ექვსი რბოლის გამოტოვებით გადაჩა.

წლევეანდელ სეზონს შუმახერიცა და ჰაკინენიც სადსალამათები, სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ. წინა წლების შედეგების გათვალისწინებით, ერთგვარი უპირატესობა ბოლო ორი ჩემპიონატის ტრიუმფატორის მიკას მხარეს იყო, მიხაელმა კი უკანასკნელად ტიტულს ხუთი წლის წინ მოიპოვა. თუმცა, ახალი სეზონის სტარტზე ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ყველაფერი მრბოლითა და მათი ბედაურების ამჟამინდელ ფორმაზე იყო დამოკიდებული. ჩემპიონატის წინ ერთი ამბავი ატეხეს შუმის ახალი „ფერარის“ გარშემო — წინამორბედს, შარშანდელს ბევრად სჯობს და მიკას „მაკლარენზე“ სწრაფიც არისო. სიჩქარეში ძლევისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სისხლისფერი F1-2000 „მერსედესის“ გულიან „გერცხლისფერ ისარზე“ საიმედო რომ გამოდგა, ეს ფაქტია.

შუმახერის ფანტასტიკურ სტარტს — ზედიზედ სამი საწყისი ეტაპის მოგებას ცხადია, ვერავინ ივარაუდებდა, ასეთ შედეგს ალბათ, თავად გერმანელიც არ ელოდა. თანაც, პირველ ორ რბოლაში ჰაკინენი სამარცხვინოდ ჩაფლავდა — მანქანამ უმტყუნა და ქულას ვინ ჩივის, ფინიშამდე მიღწევაც კი ვერ შესძლო.

ბევრმა ამის შემდეგ საქმე მოთავებულად ჩათვალა. ისე, შუმახერს მეოთხე, ბრიტანული ეტაპიც რომ მოეგო, ხოლო კონკურენტი კვლავ უქულოდ დარჩენილიყო, „სამეფო რბოლების“ წლევეანდელი გვირგვინოსანის ვინაობა მართლაც უკვე ცნობილი იქნებოდა. მაგრამ, „მაკლარენი“ დროზე გამოერკვა და კულპარდ-ჰაკინენის შთამბეჭდავი დუბლის, ანუ პირველ-მეორე ადვილის წყალობით ჩამორჩენაც საკრძნობლად შეამცირა და ჩემპიონატსაც ინტრიგა შეუნარჩუნა. შუმი ამჯერად მესამე ადვილს დასჯერდა, რითაც მდევრებთან 20-ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა, თუმც ეს სხვაობა კატასტროფული სულაც არ გახლავთ. ასე რომ, დარჩენილი

რბოლები დაძაბულ ბრძოლასა და საინტერესო სანახაობას გვპირდება.

ჰაკინენი ყოველმხრივ შეეცდება ტიტულის შენარჩუნებას, შუმახერი კი თავისი ზღაპრული ჯამაგირის გამართლებას და ოცვლიანი ჩავარდნის შემდეგ „სკუდერიისთვის“ ჩემპიონის წოდების დაბრუნებას. აბა, ყოველწლიურად სამ მილიონ დოლარს მეორე ადვილისთვის ხომ არ უხდინან. აღსანიშნავია ისიც, რომ მიკას ხელფასი ორჯერ ნაკლებია.

რაც შეეხება დარჩენილ ეტაპებს, ექვს ქვეყანაში (საფრანგეთი, ბელგია, მონაკო, იტალია, კანადა, უნგრეთი) აშკარაა შუმის უპირატესობა. ჰაკინენი მხოლოდ ავსტრიაში ლიდერობს მინიმალური სხვაობით — 10, ოთხგან კი ანგარიში საყაიმოა. განსაკუთრებით გაუმწანურდა მიხაელი მონტეკარლოს, მანი კურისა და სპას ავტოდრომებს, სადაც 4-4-ჯერ იდგა პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე.

ბოლოს კი, თუ ყოველისმცოდნე სტატისტიკას ვენდობით, როგორც წესი, საწყისი სამი რბოლის მომგები, მით უმეტეს, ოთხის და უფრო უმეტეს ხუთისა (ასეთი შემთხვევაც ყოფილა), იმ წელს ჩემპიონი გახდა. ასე რომ...





F1



მიხაელ შუმასერი

31 წლის და 4 თვის
 174 სმ, 74 კგ
 ორგზის (1994, 95)
 1991 წლის 25 აგვისტო (ბელგია)
 1992 (ბელგია) — მე-18 რბოლა
 132
 38
 75 (38+22+15)
 604 (საშუალოდ — 4,6)
 23
 40
 ჯორდანი (1991), ბენეტონი (1991-95),
 ფერარი (1996 წლიდან)

ასაკი
 სიმაღლე, წონა
 ჩემპიონი
 ფორმულაში პირველი სტარტი
 პირველი გაპარჯაჟება
 რბოლა
 მოგება
 პოლიუმი
 ქულა
 აქვული
 უსწრაფესი წრე
 გუნდები

მიკა ჰაკინენი

31 წლის და 7 თვის
 179 სმ 70 კგ
 ორგზის (1998, 99)
 1991 წლის 10 მარტი (აშშ)
 1997 (ევროპა) — 96-ერბოლა
 132
 14
 39 (14+9+16)
 306 (საშუალოდ — 2,3)
 24
 15
 ლოტუსი (1991-92),
 მაკლარენი (1993 წლიდან)



ირაკლი ბარიაშვილი

უმთხვევით აქ არაფერი ხდება. ვერაინ იხვეჭს სახელსა და დიდებას ისე, ბედის წყალობით. აქ ეს უბრალოდ შეუძლებელია. შეუძლებელია ოცი დღის მანძილზე სიცხესა და სიცივეში, წვიმასა და ქარში ილაჯგამწყვეტ აღმართებთან და თავბრუსდამხვევ დაღმართებთან, სიციხით გათანგულ უსასრულო კილომეტრებთან და ორიათასიან, ჯერ კიდევ თოვლშემორჩენილ უღელტეხილებთან ბრძოლის შემდეგ ფინიშთან შემთხვევით კაცი მივიდეს პირველი.

აქ პირველი ნამდვილად პირველია. ამიტომაც ჰყავდათ, ჰყავთ და ყოველთვის ეყოლებათ დიდ პატივში ჯირო დ'იტალიაში, ტურ დე ფრანსსა თუ ესპანურ ვუელტაში გამარჯვებულები. განსაკუთრებით კი ტურში, რადგან ამ, საუკუნის ხნის შეჯიბრებაში თავს იყრის პლანეტის უკლებლივ ყველა უძლიერესი ველიმბოლი. ტურში იმიტომ, რომ აქ გამარჯვება ველოსპორტის უმაღლეს მწვერვალზე ასვლას ნიშნავს, თუნდაც ათეულში ძოხვედრა კი სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში მოხვედრასა და შესაბამისად, წარმატებულ სპორტულ კარიერას.

ჯირო, რომელიც იტალიურად წრეს ნიშნავს, ისევე როგორც ტური ფრანგულად და ვუელტა ესპანურად — სეზონის პირველი დიდი შეჯიბრებაა. ოც ეტაპად დაყოფილი ეს



მარკო პანტანი ნოვანდელ ჯიროს, ალბათ, გამოხრკვას

ჯირო, ტური და ვუელტა სამეგობრო ტასტი თავისუფალია

ტრასა გარს უვლის იტალიას, ისევე როგორც ტური და ვუელტა, ისინიც ოცდღიანია. ეტყობა, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა მსოფლიოს №1 ველიმბოლები, ისეთები,

როგორიც იყვნენ ანკეტელი, მერქსი, ინო და იჩლურაინი ერთ სეზონში ახერხებდნენ ჯიროსა და ტურის მოგებას. ბოლო ხუთი წლის მანძილზე ეს მხოლოდ იტალიელმა მა-

რკო პანტანიმ შეძლო. აქ საქმე მარტო ტალანტების ნაკლებობაში არ არის. იმდენად ძნელია, სპორტსმენისგან იმდენ ენერგიას ითხოვს ნებისმიერ მათგანში არა თუ გამარჯვება, მონაწილეობაც კი, რომ ბევრი უბრალოდ თავს არიდებს ერთ სეზონში რამდენიმე მათგანში, თუნდაც სავარჯიშოდ გასვლასაც.

ასეა თუ ისე, წლებანდელი სეზონი რაღაც თვალსაზრისით მაინც გენსაკუთრებულია.

მოხდა ის, რომ 1995 წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც დონ მიგელად ნოდებულმა დიდმა ინდურაინმა დატოვა დიდი სპორტი, რომერ პირველის ტიტულს რიგრიგობით დაეპატრონენ შვეიცარიელი ბაიარნე რიისი, გერმანელი იან ულრიხი, იტალიელი მარკო პანტანი და ამერიკელი ლანს არმსტრონგი. მოსალოდნელია, რომ ჯიროსა და ვუელტაზე თუ არა, ტურზე მაინც ოთხივე ვილა ერთად შეწყაროს ბედმა. ამათგან ორს — იან ულრიხსა და მარკო პანტანის, სპეციალისტთა აზრით, გაცილებით უკეთესი შანსი აქვთ, კარგა ხნით დაიმკვიდრონ მსოფლიოს საუკეთესო ველიმბოლის სახელი.

თუმცა, მანამდე ჯიროა. 12 მაისისთვის ცნობილი გახდება ამ ოთხეულიდან რომელი გაბედავს ჯერ იტალიურ, მერე კი ფრანგულ წრეზე ასპარეზობას.

ერთიც შეიძლება ითქვას. ჯერჯერობით არაფერი და არავინ ემუქრება ანკეტელის, მერქსის, ინოსა და ინდურაინის ბრწყინვალე მაჩვენებლებს — მათ ხუთ-ხუთჯერ აქვთ მოგებული ტურ დე ფრანსი. ფანტაზიის სფეროში თუ არ შევიჭრებით, ამ შედეგების თუნდაც გამეორება დღეს მოასპარეზე სპორტსმენებს შორის ჯერჯერობით მხოლოდ იან ულრიხს ხელეწიფება. პანტანიცა და არმსტრონგიც, მიუხედავად ამ მრბოლების დიდი ნიჭიერებისა, კარგა ხანია გასცდნენ იმ ასაკს, როცა კაცს კიდევ ოთხი ტურის მოგება შეიძლება ჰქონდეს და გემილი. რიისიც დღეს-ხვალ დაანებებს თავს აქტიურ სპორტს. ასე რომ, იან ულრიხი და კიდევ ერთი-ორი ახალგაზრდა ველოსიპედისტი — ფრენკ ვანდერბურგი, იგორ გალდეანო, დარიო ფრიგო, ბობი ჯულიჩი...

ველოსპორტის სამყარო დიდი მიველ ინდურაინის მემკვიდრის მოლოდინშია...



REUTERS





საიქსი. იმპერი. საიქსი.

მარცხნიდან მარჯვნივ: გიორგი ბეგუა, ლი ბოიერი, ნაიჯელ მარტინი, მიაჩელ ბრიჯისი, იან ჰარტი, ლუკას რადალმენსი
სხედან: სტივ მუფთაილი, მეთუ ჯოუნსი, ჯონათან გულდგეიტი, გარი კელი, ჰარი კოუელი

